# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 18 ივნისი. 2020 წ. №75 (9001) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## რატომ მაინცდამაინც ტერაქტი, გაბუნია ხომ ჯერ „ფეხმძიმედ“ არ იყო?!



## ნიკა გვარამიამ აშკარა დანაშაული ჩაიდინა?!



2

## გერმანიამ ჩვენი ყველა მეზობელი ქვეყანა სარისკო ქვეყნების სიაში შეიყვანა

**გერმანიამ საქართველოს ყველა მეზობელი ქვეყანა — სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და თურქეთი სარისკო ქვეყნების სიაში შეიყვანა. ინფორმაცია რობერტ კოხის ინსტიტუტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. სარისკო ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო არ არის.**

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ცნობა, რომ საქართველოდან გერმანიაში ჩასულ მგზავრებს კარანტინის გავლა არ მოუწევთ. კერძოდ, რობერტ კოხის ინსტიტუტმა (ინფექციურ დაავადებებზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი ფედერალური ჯანდაცვის საჯარო დაწესებულება) გამოაქვეყნა იმ ქვეყნების სია, რომლებიც რისკის შემცველ ქვეყნებად ითვლება და გერმანიაში ამ ქვეყნებიდან ჩასული მგზავრები სავალდებულო წესით ექვემდებარებიან კარანტინში გადასვლას. აღსანიშნავია, რომ პანდემიასთან მიმართებაში საქართველოში არსებული დადებითი მდგომარეობის გათვალისწინებით, ქვეყანა არ არის ამ სიაში და შესაბამისად, საქართველოდან ჩასული მგზავრებისთვის არ დგება კარანტინში გადასვლის აუცილებლობა.



## „პრინციპი“ და ქარაფშუტა ლეიბორისტები საერთოდ ვერ შევლენ პარლამენტში!

3

## ციკლიდან — „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“

**მირონ ხერგიანი**



6

## ჯუჯა ჯორჯიადან – ლაშა ტალახაძემდე



## რასისტებს პირწმინდად ანადგურებენ რომელ ძეგლებს ანგრევენ BLACK LIVES MATTER-ის აქტივისტები

8



10

## ეთერ ლიპარტელიანი ტიტულებისთვის დაბადებული

## ჩეჩნები, ნარკო-დილერები და პუტინის მადლიერებელი ლოზუნგები

5

## რა ხდება ფრანგულ დიჟონში

## სასამართლოსი ნუ გეშინია, გეშინოდეს მოსამართლისა

5

**გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 20 ივნისს**



## გიორგი ვოლსკი: თუ ვირუსი გაძლიერდა, არჩევნები გადაიდება

**რა მოხდება, თუკი პანდემია ისევ განმეორდება და ვირუსი იმძლავრებს — არჩევნები გადაიდება. ეს ჩვეულებრივი თემაა,** — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ „რუსთავი-2“-ის ეთერში განაცხადა.

**„ჩვენი ოპონენტებიც იმავეს ამბობენ, უბრალოდ ისარგებლეს მომენტით და ახლა ამბობენ — „გადადება აწყობთ“ და ახალი სკანდალური თემა შემოიტანეს. მე ვფიქრობ, რომ პრობლემებს თავს გავართმევთ და არჩევნებს თავის დროზე ჩავატარებთ“,** — აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ.

ირაკლი კობახიძემ „ქრონიკის“ ეთერში განაცხადა, რომ თუ ეპიდემიის მეორე ტალღა დაემთხვა არჩევნებამდე, 31 ოქტომბრამდე პერიოდს, არჩევნები შეიძლება დეკემბერში გაიმართოს, რასაც ოპოზიციის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ.

„ევროპული საქართველოს“ წევრის გიორგი კანდელაკის განცხადებით, დღეს, ობიექტური საფუძველი იმისა, რომ არჩევნები შეიძლება გადაიდოს, არ არსებობს. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ზაალ უდუმაშვილის თქმით კი, „პანდემიის მხრივ, ჯერჯერობით არ ჩანს იმის ნიშნები, რომ არჩევნები გადაიდოს.

## მამუკა მდინარაძე: აგრესიულ რიტორიკაში ჩაყოლას არ ვაპირებთ



**ვიმოქმედებთ ისე, როგორც ქართული სახელმწიფოს ინტერესებს შეესაბამება, საფრთხეებთან და აგრესიულ რიტორიკასთან დაკავშირებით ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ვიმუშავებთ,** — ამის შესახებ უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვის განცხადებაზე საუბრისას აღნიშნა.

რამზან კადიროვმა გუშინ განცხადება გაავრცელა, სადაც ვასამბეკ ბოკოვის საქართველოში დაკავებას გამოეხმაურა. მამუკა მდინარაძის თქმით, აგრესიულ რიტორიკაში შესვლა არასდროს ემსახურება ქართულ ინტერესებს.

**„ჩვენ მსგავს საკითხებზე ინტენსიურად ვთანამშრომლობთ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, საქმის კურსში ვაყენებთ და რეაქციასაც ყოველთვის ვთხოვთ. ეს აგრესიული რიტორიკა, რომელიც ხშირად რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლის, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირის მხრიდან მოდის, საქართველოს ინტერესების დასაზიანებლად არის მიმართული, მაგრამ ზოგადად აგრესიულ რიტორიკაში შესვლაც არასდროს ემსახურება ქართულ ინტერესებს და მისი თანმდევი შედეგები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ხშირად გვინახავს. ამიტომ, თუ ვინმეს მიზანია, რომ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან კი არ ვიმუშაოთ ასეთ საკითხებზე, არამედ ჩვენც ჩავერთოთ ამ აგრესიულ პოლიტიკაში, ამას ჩვენ არ გავაკეთებთ. ჩვენ ვიმოქმედებთ ისე, როგორც ქართულ სახელმწიფოს ინტერესებს შეესაბამება. აქედან გამომდინარე, საფრთხეებთან და ამ აგრესიულ რიტორიკასთან დაკავშირებით ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან ვიმუშავებთ და არ ვაპირებთ, რომ ოპოზიციის ნარატივში შევყვეთ და დავიწყოთ უშედეგო აგრესიული რიტორიკა, რასაც ქვეყნისთვის სასარგებლო შედეგთან არანაირი შემხებლობა არ ექნება. ჩვენ ჩვენს პოზიციას ვაფიქსირებთ ხისტად, მყარად, კატეგორიულად, თუმცა „ნაცების“ და რუსების ოფიციალური წარმომადგენლების აგრესიულ რიტორიკაში რატომ არ შემოდიხართო — ამ თემებში ჩაყოლას არ ვაპირებთ“,** — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.



## ეროვნული გვარდიის მეთაურად პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე დაინიშნა

**საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნულ გვარდიას ახალი მეთაური ჰყავს. დღეს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეროვნული გვარდიის მეთაურის რანგში პოლკოვნიკ რომან ჯოხაძესთან პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა და ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა.**

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილეები, გენერალ-მაიორები გიორგი მათიაშვილი და ზაზა ჩხაიძე დაესწრნენ, ეროვნულ გვარდიაში მიმდინარე აქტივობებსა და განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

**ეროვნული გვარდიის მეთაურად დანიშვნამდე პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე პოლონეთში, უნგრეთში, სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკებში საქართველოს თავდაცვის ატაშე იყო. მას თავდაცვის ძალებში სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა, მათ შორის იყო გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, J2 დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი, სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი, თავდაცვის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტში სამხედრო ექსპერტი. მუშაობდა ასევე, ეროვნულ გვარდიაში ჯერ ბატალიონის, შემდეგ კი საწვრთნელი ცენტრის მეთაურად. პოლკოვნიკ რომან ჯოხაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო მისიებში ერაყსა და ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამოქალაქო განათლების მიღების შემდეგ, რომან ჯოხაძემ განათლება სამხედრო მიმართულებით გააგრძელა. დამთავრებული აქვს საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემია, ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი რუმინეთში, ნატოს თავდაცვის კოლეჯი იტალიაში და აშშ-ის ომის კოლეჯი.**



## გაერთიანებულ სამეფოს საქართველოში ახალი ელჩი ეყოლება

**ინფორმაციას ბრიტანეთის საელჩო ავრცელებს.** მათი განცხადებით, ჯასთინ მაქენზი სმითს მარკ კლეიტონი ამ ზაფხულს შეცვლის.



## რატომ მაინცდამაინც ტერაქტი, გაბუნია ხომ ჯერ „ფეხმძიმედ“ არ იყო?!

**ძველი რომის იურისპუდენციაში არსებობდა ფრაზა — „ვის სჭირდებოდა“!, რომელიც ფაქტობრივად დანაშაულის ჩადენის მოტივისა და დამნაშავის დადგენისთვის ყველაზე მთავარი შეკითხვა იყო.**

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამ ორი დღის წინ აღკვეთილი დანაშაულის შესახებ საკმაოდ ბევრი ვერსია ვრცელდება და რადგანაც გამოძიება კანონის შესაბამისად დუმს, ჩვენს ლაყაფისტ პოლიტიკანებს მიეცათ ბურთი და მოედანი, აფრქვიონ თავიანთი სისულელეები და ბრწყინვალედ ჩატარებული სპეცოპერაციის მიუხედავად მთელი ტალახი ხელისუფლების მხარეს ისროლონ.

დავანებოთ თავი შემკვეთის ძებნას (ამას კომპეტენტური სამსახური ჩვენზე უკეთ გააკეთებს) და ოდნავ დავფიქრდეთ იმაზე, თუ ამ დანაშაულის აღკვეთით საზოგადოებისთვის რა შედეგი დადგა.

სუსის ამ სპეცოპერაციამ რამდენიმე საკმაოდ საინტერესო რამ დაგვანახა — სპეცსამსახური მუშაობს და თავის გასაკეთებელს კარგად აკეთებს.

ნაცები დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით მზად არიან, ყველაფერზე წავიდნენ (გვარამიამ არამცთუ პოტენციური დანაშაული დამალა, ის მეგობარიც გასწირა, ვის მიმართაც ტერაქტი მზადდებოდა).

**ხალხში ნაცების და კონკრეტულად ვინმე გაბუნიას მიმართ იმხელა ანტიპათიაა, რომ არამცთუ რაიმე აღშფოთება, არამედ, სულო ცოდვილო, და ღლიცინი და ამ ტერაქტის დაკვეთაში ეჭვმიტანილად ნაცების ლიდერშიპის დასახელება გამოიწვია.**

**და ბოლოს მეც წავიღლიცინებ — ვარკეთილის ბაზრობაზე გაჩენილი ხანძარი გაბუნიას თავსდატეხილი უბედურების გადასაფარად გააჩინესო, უკვე თქვეს, თუ ჯერ „წყაროს“ ელოდებიან?**

ახლა კი სერიოზულად:

გაჩნდა რამდენიმე საკმაოდ სერიოზული შეკითხვა, რომლებზეც პასუხი არა შესაბამისმა ორგანოებმა, არამედ ჩვენ თავად უნდა გავცეთ.

**დავიწყებ იმ ფარული ჩანაწერით, სადაც სააკაშვილი გვარამიას მაშინდელი „რ-2“-ის „დაცვის“ დროს რომელიმე ჟურნალისტი ქალის მკვლელობას განიხილავდა (სასურველი იყო რომ მსხვერპლი ფეხმძიმე ყოფილიყო).**

**მეორე — პუტინის მისამართით გაბუნიას ამაზრზენი გამოხტომის შემდეგ დავსვი შეკითხვა, თუ ვინ იქნებოდა პასუხისმგებელი იმ პოტენციურ ტერაქტზე, რომელიც შეიძლება უფროსი ლეიტენანტობის მიღების მსურველ რუს სამხედროს, ან მიშისტი ძალების მსგავს პუტინისტს მოეწყო.**

**მესამე — ამ მოცემულობაში განმარტება „ტერაქტს“ შესაბამისი სამსახურის განცხადების გარეშე არ გამოვიყენებ, რადგანაც ასეთ დროს აუცილებელია, საზოგადოებამ იცოდეს დამკვეთი, რომლის ვინაობაც ჯერ არ გახმიანებულა.**

**მეოთხე — ის პირები, რომლებიც რაღაც კრიმინალს გეგმავდნენ დაკავებულნი არიან. აქედან გამომდინარე ნებისმიერი ფორმით გაგრძელება აღკვეთილია.**

**და ბოლოს — იმედი მაქვს ნაცბანდის მხარდამჭერები ბოლომდე გაიაზრებენ იმ რისკებს, რაც თავიანთი ატამანებისგან ელოდებათ.**

ელოდებათ, იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ მათი გულისთვის „ლიბერალური სამყარო“ ნამდვილად არ დადგება ფეხზე და ნაცებს ფეხზე კოცნას არავინ დაუწყებს. ძალიან საინტერესო შეფასება გააკეთა იურისტმა თამთა მეგრელიშვილმა. ის სუსის მიერ რუსეთის მოქალაქის დაკავებას ეხმაურება, რომელიც სავარაუდოდ ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას უკავშირდება.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტში მეგრელიშვილი წერს, რომ დანაშაულის შეუტყობინებლობა მის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, კანონით ისჯება. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ასეთი ქმედება 3 წლამდე პატიმრობით ისჯება.

**„თუ სწორად გავიგე, ჩეჩენი ეროვნების რუსეთის მოქალაქე, საქართველოში ჩამოვიდა, სავარაუდოდ, გიორგი გაბუნიას განზრახ მკვლელობის ჩასადენად (შეკვეთით). ამის შესახებ ინფორმაციას ფლობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ასევე კონკრეტული პირი ნიკა გვარამია. ასეთ დროს, როცა საქმე ეხება პირის სიცოცხლეს, გვერდით უნდა გადაიდოს პოლიტიკური გემოვნება და მიმდინარე მოვლენები მხოლოდ სამართლებრივ ჭრილში შეფასდეს“,** — წერს მეგრელიშვილი.

მისივე თქმით, დანაშაულის შეუტყობინებლობა ხელს უშლის მის დროულად გახსნასა და დამნაშავეთა მხილებას, აგრეთვე მოსალოდნელი სოციალურად მავნე შედეგების თავიდან აცილებას. ადვოკატი განმარტავს, რომ კანონში არ არის მითითებული ვადა, რომლის განმავლობაშიც ინფორმირებულმა შესაბამის ორგანოებს დანაშაულის შესახებ უნდა აცნობოს.

მოკლედ რომ ვთქვა, მორალური მხარე ფაქტობრივად ნათელია. ახლა კი სიმართლისთვის წერტილის დასასმელად მხოლოდ და მხოლოდ გამოძიების ნორმალურად ჩატარებაა საჭირო.

ნორმალურად, და არა იმ ლიბერასტულ-გამჭვირვალე ნარატივით, რაც დღეს მოდაშია და რის თავზე მოხვევას „ჩვენი“ მავნებლები მალე დაიწყებენ.

**გია გაბრიჭიძე**

## ნიკა გვარამიამ აშკარა დანაშაული ჩაიდინა?!

**„რას ნიშნავს ის, როცა იცი დანაშაულის მომზადების თაობაზე, თან ამ სახის დანაშაულის მომზადების შესახებ და ამას არავის არ ატყობინებ. ეს არის მძიმე როგორც სამართლებრივი, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, ოპოზიციისგან განსხვავებით, ხელისუფლებას ევალება, რომ სრული პოლიტიკური პასუხისმგებლობით იმოქმედოს, რადგან უმრავლესობა არის პასუხისმგებელი ყველაფერზე, რაც ხდება ქვეყანასა და საგარეო ურთიერთობებში.



**„აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ნაბიჯი სწორედ ამ პასუხისმგებლობით იქნება გადადგმული. რაც შეეხება ოპოზიციას, მათ შეუძლიათ, გააგრძელონ იმ სპეკულაციური განცხადებების კეთება, რასაც აკეთებენ. საქმე ეხება ოკუპანტი სახელმწიფოს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირს. ასეთ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფოს აქვს თავისი ღირსეული და თანმიმდევრული პოლიტიკა, რაც განსხვავდება იმ პოლიტიკისგან, რაც თავის დროზე წინა ხელისუფლებას ჰქონდა. თქვენ გახსოვთ, რით დაამთავრეს საკუთარი ქმედებები ამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა. მათ შორის ვგულისხმობ ტერიტორიების 20%-ის ჩაბარებას რუსეთის ფედერაციისთვის. მათ თავიანთი გზა აქვთ, ჩვენ — ჩვენი“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, **„დღემდე სუს-მა გააკეთა ყველაფერი, რათა ადამიანის სიცოცხლე ყოფილიყო დაცული და ხელისუფლების თითოეული სტრუქტურა ასე გააგრძელებს მუშაობას. არის, რომ ასეთი სცენარები აირიდოს თავიდან“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# უპრინციპო და ქარაფშუტა ლეიბორისტები საერთოდ ვერ შევლენ პარლამენტში!



**ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, გარე საფრთხეების გარდა, ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, გააქტიურდნენ დესტრუქციული ძალები, რომელთა მიზანს წარმოადგენს მაღალი რეიტინგის მქონე ხელისუფლებისა და საზოგადოებაში მაღალი ნდობის მქონე ავტორიტეტული ინსტიტუციების დასუსტება, როგორიცაა ეკლესია, ჯარი, პოლიცია. ასევე მიუღებელია საზოგადოების განწყობებზე მაღალი გავლენის მქონე ინდივიდები, ლიდერები.

შესაბამისად, თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ყველაზე ანტიეროვნული მტრული ძალის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ სახით, პერსპექტივა არის ნულის ტოლი. ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილი გამორიცხავს 2020 წლის არჩევნების შემდეგ ქვეყანა იმ რეალობის წინაშე აღმოჩნდეს, რასაც კოალიციური მთავრობა ჰქვია: „ვერ წარმომიდგენია კოალიციის შექმნა მოგვიწიოს, ჩვენი პოლიტიკური ძალა ძლიერად გაიმარჯვებს არჩევნებში“, – განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

განმეორდება თუ არა 2012 წლის მოდელი, როდესაც შეიქმნა პარტიათა კოალიცია ბიძინა ივანიშვილის მიერ, რთული სათქმელია, რადგან მაშინ ამოცანა სხვა იყო – სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება. „ქართული ოცნება“ სისტემურად უპირისპირდებოდა სააკაშვილის რეჟიმს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ და ანტიდემოკრატიულ სისტემას. ახლა ვითარება შეცვლილია, სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისითაც ქვეყანა გაცილებით წინ წავიდა.

კონსტიტუციონალისტ **ვახტანგ ძაბირაძის** განცხადებით, ჯერჯერობით ადრეა ლაპარაკი კოალიციურ მთავრობაზე, დიდი ალბათობით ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორი საარჩევნო სისტემა გვექნება. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციაში შევა ცვლილებები და იქნება 1%-იანი ბარიერი, ალბათობა იმისა, რომ შეიქმნას კოალიციური მთავრობა, ძალიან მაღალია.

**„ამ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, პარლამენტში ბევრი წვრილი პარტია, 1 და 2-კაციანი მანდატის მქონე პარტია შევა. ველოდები, რომ თუ საკონსტიტუციო შესწორებები შევიდა და 1%-იანი ბარიერი მივიღეთ, ალბათობა კოალიციური მთავრობისა, არის ძალიან მაღალი. მაგრამ ვისთან კოალიციური მთავრობა? – არის „ნაციონალური მოძრაობა“; „ევროპული საქართველო“; ანა დოლიძის პარტია; „ლელო“; რესპუბლიკელები; პატრიოტები, ამიტომ პოლიტიკური სპექტრი უნდა დალაგდეს.**

**ჯერჯერობით არ ვიცით. როდესაც ლაპარაკია კოალიციურ მთავრობაზე, ლაპარაკი არ არის ისეთ საკითხზე, როგორიც არის საარჩევნო ბლოკის შექმნა. მე თუ ვარ კოალიციაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მე რაღაცა გარანტიები მაქვს და თუ გამოვალ კოალიციიდან, ის კოალიცია დაიშლება. ანუ, კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ ძალას აქვს რეალური ბერკეტები იმისა, რომ მან ზეგავლენა მოახდინოს მთავრობის პოლიტიკაზე“,** – აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

ანალიტიკოს **დავით ზარდიაშვილის** შეფასებით, ნაკლებად სავარაუდოა კოალიციური მთავრობის ფორმირება, რადგან „ქართული ოცნება“ 76 მანდატზე მეტს აიღებს და მთავრობის შემადგენლობასაც თვითონვე დაამტკიცებს.

**„მიუხედავად საარჩევნო კანონმდებლობისა და სისტემისა არავითარი კოალიცია არ გახდება საჭირო. შერეული სისტემა, რაც დღეს გვაქვს – 77+73 თუ დარჩა, ასეთ შემთხვევაში დიდი შანსი აქვთ მმართველ გუნდს, რომ აიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა. ახალი სისტემის შემთხვევაში 76 მანდატს ნებისმიერ შემთხვევაში აიღებს „ქართული ოცნება“. ამას ადასტურებს „გორბის“ კვლევა და მთლიანად არსებული პოლიტიკური ლანდშაფტი“.**

დავით ზარდიაშვილის თქმით ოპოზიცია ასეთი სტრატეგიით, რაც ახლა აქვთ, შედეგს ვერ მიაღწევს. ოპოზიციური გაერთიანება პერსპექტიული არ არის, ამიტომ, ვერ ვხედავ რაიმე ფაქტორს, რომელიც ხელს შეუშლის „ქართულ ოცნებას“, რომ მომავალი არჩევნების შემდეგ საკუთარი მთავრობა შექმნას.

**„რასაკვირველია, თუ მიიღებენ ახალ საარჩევნო სისტემას, მაშინ მეტი პარტია მოხვდება პარლამენტში, მაგრამ მოხვედრა ხომ არ არის თვითმიზანი, ბევრნი ფრაქციას ვერ შექმნიან, რადგან ახალი რეგლამენტით ფრაქციის შესაქმნელად 7 დეპუტატი იქნება საჭირო. რაც შეეხება პარლამენტის შემადგენლობას, ძირითადი პოლიტიკური ძალები იქნებიან: „ქართული ოცნება“; „ნაციონალური მოძრაობა“; „პატრიოტთა ალიანსი“; „ევროპული საქართველო“; შესაძლოა - „ლეიბორისტული პარტია“ და „ლელო“. თუმცა, ეს ამინდს ვერ შექმნის პარლამენტში. ამ წუთიდან ცხადია, რომ უმრავლესობა ეყოლება „ქართულ ოცნებას“ და მთავარი ოპოზიციური ძალა, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება. ამ წუთის მდგომარეობით „ქართული ოცნების“ უმრავლესობას მომავალ პარლამენტში არაფერი ემუქრება, ეს არის ფაქტი...**

დღეს არსებული მონაცემებით, კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებლობას ვერ ხედავს ანალიტიკოსი **გია აბაშიძე**, იქიდან გამომდინარე, რომ „კოვიდ 19“-ის პანდემიის შემდეგ „ქართული ოცნების“ რეიტინგი გაიზარდა, თუმცა აბაშიძე თვლის, რომ ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისთვის დამაზიანებელია საკონსტიტუციო უმრავლესობა. მისი თქმით, როდესაც არ გყავს კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც ჩრდილოვანი კაბინეტის სახით ოპონირებს, ასეთ შემთხვევაში მმართველი პარტია მოეშვება, რადგან კონკურენცია ნაკლებია.

**„დღეის მონაცემებით, ივლისის ბოლომდე არ გვეცოდინება, როგორი საარჩევნო სისტემით შევხვდებით არჩევნებს, ანუ – მივიღებთ თუ არა 120-30-ს 1%-ით, თუ დარჩება 73-77-ზე. თუ დარჩა „ძველი“ სისტემა, მაშინ ამ სისტემიდან გამომდინარე, აბსოლუტურად ლეგიტიმურია, რომ „ოცნებამ“ მიიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა. თუმცა, ჩემი ვარაუდით, პარლამენტში შევლენ – „ლელო“; კიდევ უფრო გაიზრდება „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლობა, მაგრამ საკმაოდ შემცირებული იქნება „ევროპული საქართველო“, რადგან საკმაოდ დაბალი რეიტინგი აქვთ და ფრაქციას თუ შექმნიან, ესეც მაქსიმალისტური პროგნოზია. ცხადია, შევა „ნაციონალური მოძრაობა“.**

**ეჭვი მეპარება, რომ „ლეიბორისტები“ შევიდნენ. შალვა ნათელაშვილის უპრინციპო, ქარაფშუტული ქცევები იმდენად გამაღიზიანებელია ელექტორატისთვის, რომ არ მგონია ნათესავების გარდა, ვინმემ მისცეს ხმა. დუშეთის რაიონში, საკუთრ სოფელშიც კი წააგო არჩევნები. საკუთარ სოფელში რომ მეხუთე ადგილზე გახვალ, ეს არის კატასტროფა ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის, თუ პასუხისმგებლობის გრძნობა გაგაჩნია, მაგრამ, როგორც ჩანს, ნათელაშვილს არავითარი პასუხისმგებლობა არ გააჩნია. ასე რომ, არ მგონია, ნათელაშვილი ოდესმე მოვიდეს პარლამენტში“,** – აცხადებს გია აბაშიძე.

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, არც ერთი არჩევნების წინ, „ქართულ ოცნებას“ ასეთი რეიტინგი არ ჰქონია, როგორც ახლა და არც ერთი არჩევნების წინ ოპოზიცია ასეთი სუსტი არ ყოფილა. ამ პირობებში კი, პოლიტოლოგის შეფასებით, კოალიციური მთავრობის საკითხი ხელოვნური თემაა.

**„თუ დაიწყო რეიტინგული პროცესი, ანუ სახელისუფლებო გუნდის რეიტინგის დაწევა, ან ოპოზიციის რეიტინგის აწევა, შეიძლება გაჩნდეს კოალიციური მთავრობის ფორმირების საკითხი, მაგრამ ამ ცამოწმენდილზე, ამ სიცხეში ამ საკითხის დასმა, რომლის აქტუალურობა არანაირი არგუმენტით არ დასტურდება, მხოლოდ ოპოზიციის არცთუ ისე შორს მიმავალ გეგმებში შეიძლება მომწიფდეს.**

**რა თქმა უნდა, თუკი შეიქმნება ასეთი მდგომარეობა, ალბათ, ხელისუფლებასთან ითანამშრომლებენ პატრიოტები. მიმაჩნია, რომ „ლელოც“ ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან. „ლელო“ არ არის იმ ტიპის პოლიტიკური მოვლენა, რომელიც იტყვის – თუ მე არ ვიქნები ქვეყნის სათავეში, ეს ქვეყანა დაინგრესო. დანგრევაზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალა ნამდვილად არ არის. კი, ითანამშრომლებს, მაგრამ ეს „თუ“, იმდენად დაშორებულია რეალობას, რომ შანსები საკმაოდ დაბალია“,** – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

**„როგორ უნდა შედგეს კოალიციური სისტემა?“,** – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას პოლიტოლოგი **სოსო მანჯავიძე,** რომლის განცხადებით, ბუნებრივია, რომ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“ შორის კოალიციური მთავრობა ვერ შედგება. ასევე, მისი თქმით, რთული წარმოსადგენია კოალიცია გაერთიანებულ ოპოზიციაში მყოფ პარტიებთანაც.

**„წარმოვიდგინოთ, რომ ნათელაშვილთან შედგეს კოალიციური მთავრობა, რაც არ უნდა ფანტაზია ჰქონდეს ადამიანს, ეს ხომ ცოტა რთული წარმოსადგენია. ერთადერთი, შეიძლება კოალიციურ მთავრობაზე ვისაუბროთ „ლელოსთან“, სადაც ის ადამიანები ერთიანდებიან, რომლებიც თავის დროზე გაერთიანდნენ „ქართულ ოცნებაში“, ანუ – ულტრალიბერალური ფლანგი, მიუხედავად იმისა, რომ მოულოდნელად, ბატონმა ხაზარაძემ რევერანსი გააკეთა ტრადიციებით განწყობილი საზოგადოების მიმართ, რომელმაც დაინახა, რომ მისი პარტია გადაიქცა სოროსელების თავშეყრის ახალ ეპიცენტრად, სადაც ასევე მიემართება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მარგველაშვილი. ასე რომ, შესაძლოა, თეორიულად წარმოვიდგინოთ „ლელო“, თუმცა ესეც ძალიან ძნელი წარმოსადგენია. ამიტომ, ვეთანხმები ირაკლი ღარიბაშვილის განწყობას და მის ხედვას. ცოტა რთული წარმოსადგენია კოალიციური მთავრობა“,** – დასძინა სოსო მანჯავიძემ.

**თამთა ქარჩავა**



# თავდაცვის სამინისტრო: მატყუარა ტელევიზიები კვლავ აგრძელებენ ქართული ჯარის დისკრედიტაციას!

– ამის შესახებ თავდაცვის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

უწყების ცნობით, **„მთავარი არხი“ არ ერიდება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემუშავებული სიცრუის კამპანიის ტირაჟირებას და ცდილობს უსაფუძვლო და ცილისმწამებლური სიუჟეტებით, თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის მინისტრის დისკრედიტაციას.**

**„პოლიტიკურად ანგაჟირებული ტელეკომპანია „მთავარი“ კვლავ განაგრძობს პარტიული დაკვეთის შესრულებას, რომლის მიზანი ქართული ჯარის დისკრედიტაციაა. „მთავარი არხი“ არ ერიდება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემუშავებული სიცრუის კამპანიის ტირაჟირებას და ცდილობს უსაფუძვლო და ცილისმწამებლური სიუჟეტებით, თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის მინისტრის დისკრედიტაციას. ცრუ ინფორმაციის გავრცელებით, მიზანმიმართულად მიმდინარეობს საზოგადოებაში სრულიად ბინძური ნარატივის ჩამოყალიბება, თითქოსდა, შესყიდვები თავდაცვის სამინისტროში, ემსახურება პარტიულ ინტერესებს. ეს კამპანია არის მცდელობა, დააზიანოს თავდაცვის სამინისტრო და თავდაცვის ძალები, როგორც უმაღლესი ნდობის მქონე ინსტიტუტი და ჩრდილი მიაყენოს უწყებაში განხორციელებულ წარმატებულ რეფორმებს. პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიის მიერ ამჯერად ცრუ ინფორმაციები გავრცელდა პურ-პროდუქტებთან დაკავშირებული, კონსოლიდირებული, ტენდერის შედეგებთან და სამხედროებისათვის პირბადეების შეძენასთან დაკავშირებით. საზოგადოებისთვის განვმარტავთ, რომ პურ-პროდუქტებთან დაკავშირებულ ღია, ელექტრონულ, კონსოლიდირებულ ტენდერში თავდაცვის სამინისტრო გამარჯვებულს ვერ განსაზღვრავს და მის მიმდინარეობაში ვერც ჩაერევა. ამიტომ, ნებისმიერი ბრალდება ამ მიმართულებით არის ტყუილი.**

**ასევე, სრულიად აბსურდული, უსაფუძვლო და ამორალური ცილისწამებაა, კომპანია „ილის“ დაკავშირება თავდაცვის მინისტრთან, ვინაიდან მინისტრი არათუ რაიმე ფორმით დაკავშირებული არ არის ხსენებულ კომპანიასთან და მის დამფუძნებლებთან, არამედ ამ კომპანიის არსებობის შესახებ, სწორედ „მთავარის“ და „ტვ პირველის“ სიუჟეტებიდან შეიტყო.**

**საზოგადოების ინფორმირების მიზნით მოგახსენებთ, რომ თავდაცვის სამინისტროს დაგეგმილი აქვს, ყველა სამხედრო ნაწილი აღჭურვოს სპეციალური დანადგარებით და ადგილზე მოხდეს პურ-პროდუქტების წარმოება.**

**რაც შეეხება გადაუდებელი წესით პანდემიის დროს, საგანგებო მდგომარეობის ვითარებაში პირბადეების შესყიდვას, ბაზრის კვლევის პროცესში განხორციელდა მიმწოდებლებისგან მიღებული სხვადასხვა წინადადებებიდან ყველაზე დაბალი ფასის პრეტენდენტის შერჩევა. კერძოდ, 1 ცალი – 0.75 ლარი. ეს კომპანია აკმაყოფილებდა კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა პირობას და არ არსებობდა არავითარი საფუძველი, არ გაფორმებულიყო უწყებასთან ასეთი შეღავათიანი კონტრაქტი. შესაბამისად, ყველა სპეკულაცია ამ საკითხთან დაკავშირებით არის მხოლოდ მიზანმიმართული ტყუილი და ცილისწამება. თავდაცვის სამინისტრო, საზოგადოების ინფორმირების მიზნით კვლავ გააგრძელებს პოლიტიკურად მოტივირებული მედიასაშუალებების ტყუილში მხილებას“.**

# ხანძრით დაზარალებულებს მერია და სადაზღვევო კომპანია დაეხმარებათ!

**თბილისის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და პირველ რიგში, ყურადღება ვარკეთილის შერეული ბაზრობის ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის ფაქტზე გაამახვილა.**

თბილისის მერის თქმით, მუნიციპალიტეტის მერია მზადაა, ვარკეთილის შერეული ბაზრობის მოვაჭრეებთან კონსულტაციები გამართოს და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს. დაზარალებულ მოქალაქეებს ზარალს სადაზღვევო კომპანია აუნაზღაურებს.

**„გუშინ სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან, აღნიშნული ბაზრობა დაზღვეული იყო, განცხადებები მოვისმინეთ. კომპანიამ გამოხატა მზაობა, ყველა დაზარალებულს დანაკარგი აუნაზღაურდეს. მიმდინარეობს მოკვლევა, დაზუსტება და კომპანია გააკეთებს ყველაფერს, რაც მის პასუხისმგებლობაში შედის. რაც შეეხება თავად დაზარალებულებს, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურად განიხილება. ჩვენც მზად ვართ, შევხვდეთ დაზარალებულებს, განვიხილოთ არსებული მდგომარეობა და ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, დავეხმარებით. პრემიერ-მინისტრთან მქონდა ამ საკითხზე საუბარი და მომდევნო დღეებში შეხვედრები გაიმართება“...**

დედაქალაქის მერმა ყურადღება სატრანსპორტო პოლიტიკაზეც გაამახვილა.




მისი თქმით, მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის მთავარი მიმართულება საზოგადოებრივ ტრანსპორტთან ერთად, ფეხით და ველოსიპედებით მოსიარულე მოქალაქეებია.

**„ჩემთვის, ჩემი თანაგუნდელებისთვის, მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სატრანსპორტო პოლიტიკა. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ შესაბამისი განვითარების გეგმა წარვადგინეთ. ჩვენი სატრანსპორტო პოლიტიკის მთავარი მიმართულებაა ის, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ეთმობა ყველაზე დიდი ყურადღება, ასევე, ფეხით და ველოსიპედით მოსიარულეებს. ჩვენს ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტში ეს პრიორიტეტების მიხედვით გვაქვს გადანაწილებული. საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა იყოს ყველაზე სწრაფი და მოძრაობდეს შეზღუდვების გარეშე. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ არა კერძო ტრანსპორტი, არამედ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ქალაქში უპრობლემოდ გადაადგილდებოდეს“,** — განცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა მოადგილე მაია ბითაძეს დაავალა, რომ მოიკვლიოს ავტობუსებზე ველოსიპედების დამაგრების საკითხი და პროექტის განხორციელება ეტაპობრივად დაიწყოს.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე კახა კალაძემ ქალაქში მიმდინარე და დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა. კერძოდ, მისი თქმით, გლდანის რაიონში, ვეკუა-ხიზანიშვილის ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება.

გარდა ამისა, საგზაო სამუშაოები უკვე დასრულდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე, სადაც სრულად განახლდა პანდუსი, რაც ავტობუსებისა და ავტომობილებისთვის პრობლემას წარმოადგენდა.

**„ამ დროისთვის, ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა მიმდინარეობს, რომელიც ბუნებრივი ქვის ფილებით მოპირკეთდება და შშმ პირებისთვის ადაპტირდება. რეაბილიტაციის ფარგლებში, მთლიანად შეიცვლება გარე განათების ბოძები და დამონტაჟდება LED განათების სისტემა“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა აღნიშნა, რომ ჭავჭავაძის გამზირზე, ავალიშვილის ქუჩიდან ვაკის პარკამდე არსებულ საგზაო მონაკვეთში ასფალტის საფარის ბოლო ფენა იგება. საგზაო სამუშაოები კი რამდენიმე დღეში დასრულდება.

**„ჭავჭავაძის გამზირზე ასფალტის ბოლო ფენის დაგება დაიწყო და ვაკის პარკამდე დარჩენილი საგზაო მონაკვეთი 22 ივნისისთვის დასრულებული იქნება. პარალელურად, გრძელდება ტროტუარების მოწყობა და გამწვანების სამუშაოები. ბოლო ეტაპზე კი მოხდება საგზაო მონიშვნების დახაზვა. ასევე, შეიცვლება განათების ბოძები და დამონტაჟდება LED სანათები. გამზირზე ავტობუსებისთვის სპეციალური ზოლებია გამოყოფილი, რათა საზოგადოებრივმა ტრანსპორტმა შეუფერხებლად შეძლოს გადაადგილება. ჩვენ მოვახერხებთ იმას, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ქალაქში გადაადგილების ყველაზე კომფორტული და პოპულარული საშუალება იყოს“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

დასასრულ, თბილისის მერმა აღნიშნა, რომ ახლად რეაბილიტირებულ ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ მუნიციპალიტეტის მერია ორ მნიშვნელოვან პროექტს განახორციელებს. თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური „მზიურის“ ტერიტორიაზე გალერეა-მედიათეკას მოაწყობს.

რაც შეეხება მეორე პროექტს, დედაქალაქის მერის თქმით, მოეწყობა საფეხმავლო ხიდი, რომელიც „მზიურსა“ და ზოოპარკის ტერიტორიას ერთმანეთთან დააკავშირებს.

## აჭარის უმაღლესმა საბჭომ მედიკოსები დააჯილდოვა



**აჭარის უმაღლესმა საბჭომ რეგიონში კორონავირუსთან ბრძოლაში ჩართული მედიკოსები დააჯილდოვა. პანდემიასთან ბრძოლის დროს სამედიცინო სფეროში გატარებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისთვის მადლობის სიგელები ასევე გადაეცათ ჯანდაცვის სამინისტროს, ცხელების ცენტრებსა და კლინიკა „მედალფას“, სადაც ყველა ინფიცირებული იყო მოთავსებული.**

დაჯილდოების დაწყებამდე რეგიონში კორონავირუსის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები შეაჯამეს. შეხვედრას აჭარის ჯანდაცვის მინისტრი ზაალ მიქელაძეც დაესწრო, რომელმაც კორონავირუსის პრევენციისთვის ზაფხულში დაგეგმილ ღონისძიებებზეც ისაუბრა.

## კონკურენციის სააგენტო დარღვევებს იკვლევს

**საქართველოს კონკურენციის სააგენტომ შპს „ჯი-თი მოტორსის“ საჩივრის საფუძველზე მოკვლევა დაიწყო.**



თემა ეხება კონკურენტი კომპანია „შპს ჯ.თ. მოტორსის“ მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესაძლო დარღვევის ფაქტს. საჩივარში საუბარია, ავტოტექმომსახურების სფეროში, საქმიანობის იდენტურობაზე — როგორც ლოგოს, ასევე კომპანიის დასახელების მიზანმიმართულ მსგავსებაზე, რაც მომჩივანის პოზიციით, პოტენციური მომხმარებლის და ასევე პარტნიორი კომპანიების დეზინფორმირებას, შეცდომაში შეყვანის მცდელობას წარმოადგენს.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონკრეტული შემთხვევები მოცემულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლში, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და კონკურენტთა, მომხმარებელთა ინტერესებს ლახავს. შესაბამისად, სააგენტოში შეიქმნა მოკვლევის ჯგუფი, რომელთაც — დადგენილ ვადებში, შესაბამის ბაზარზე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის, საქმიანი ეთიკის პრინციპების შესაძლო დარღვევის ფაქტის შესწავლა დაევალათ.

2020 წლის იანვარ-მაისში კონკურენციის სააგენტომ ერთი მოკვლევა დაასრულა, სადაც დადგინდა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი. ამ დროისათვის, ამ თემის გარდა, მიმდინარე რეჟიმშია 2 მოკვლევა.

ამავე პერიოდში, სააგენტომ 4 ბაზრის მონიტორინგი დაასრულა (ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების, რითეილის, ჩვილ ბავშთა კვების და ავტოდაზღვევის ბაზარი), მიმდინარეობს 3 ბაზრის (პურ-პროდუქტები, საავტომობილო საწვავი და ფარმაციის ბაზარი) მონიტორინგი.

## საქართველოში მუზეუმები მუშაობას განაახლებენ



**შიდა ტურიზმის გახსნასთან დაკავშირებით უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, მუზეუმების გახსნის შესახებ. სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილება სავალდებულო იქნება მუზეუმის პერსონალისა და ვიზიტორებისთვის, უკვე შემუშავებულია და უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი.**

გაზრდილი მობილობისა და შიდა ტურიზმის გახსნის პირობებში რისკების ეფექტური მართვის მიზნით, გრძელდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მათ შორის რესტორნებსა თუ სარეკრეაციო სივრცეებში, დადგენილი სტანდარტების შესრულების მკაცრი კონტროლი, დარღვევების შემთხვევაში კი გამოყენებულია კანონით განსაზღვრული ჯარიმები.

საქართველოში ეკონომიკის გახსნის პარალელურად გაზრდილი ეპიდემიოლოგიური რისკების ეფექტური მართვის მიზნით, მთავრობამ ის მაღალი რისკის ჯგუფები განსაზღვრა, რომელთაც სავალდებულო PCR ტესტირება მუდმივად ჩაუტარდებათ. კოვიდ-19-ით ინფიცირების შემთხვევის სტანდარტული განმარტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხას მთავრობის განკარგულება მოიცავს.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გუშინდელ სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით ვიდეოკონფერენციის ფორმატში გაიმართა, აღინიშნა, რომ კორონავირუსთან ბრძოლის ამ ეტაპზე შესაძლო შემთხვევების დროულ იდენტიფიცირებასა და მკურნალობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, შესაბამისად, ტესტირების სისტემა ამ კუთხით დამატებითი ქმედითი ინსტრუმენტია.

## 21 ივნისს მზის დაბნელებაა - მოვლენა ნაწილობრივ საქართველოდანაც გამოჩნდება



**დედამიწიდან ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაც ციურ სანახაობას ვხედავთ მაშინ, როდესაც მთვარე მზეს ნაწილობრივ აბნელებს და ვხედავთ მხოლოდ ვარსკვლავის კიდეების ცეცხლოვან რგოლს. სწორედ ასეთი სანახობების მომსწრე გახდება 21 ივნისს პლანეტის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.**

ამ ფენომენს მზის რგოლისებრ დაბნელებას უწოდებენ. მზის დაბნელება ხდება მაშინ, როდესაც მთვარე ორბიტაზე მოძრაობისას დედამიწიდან ძალიან შორსაა და შესაბამისად, ცაზე მზეზე უფრო პატარა ჩანს.

სწორედ ზომის ეს პატარა სხვაობა განაპირობებს იმას, რომ მზე რგოლისებურად ბნელდება და არა სრულად. სრულად დაბნელების დროს, მთვარე ჩვენთან ახლოს არის და ცაში ზუსტად ჩვენი დედავარსკვლავის ზომის ჩანს.

ასეთი დაბნელების გასაოცარ, შთამბეჭდავ მაგალითს ხედავთ მოცემულ ვიდეოში, რომელიც 2013 წლის მაისში დასავლეთ ავსტრალიაში გადაიღეს ფოტოგრაფმა კოლინ ლეგმა და ასტრონომიის სტუდენტმა ჯეოფ სიმსმა.

21 ივნისს ასეთი რგოლისებრი დაბნელება გამოჩნდება ცენტრალური აფრიკიდან და აზიიდან, მრავალი სხვა რეგიონის მოსახლეობა კი ნაწილობრივ დაბნელებას იხილავს.

ნაწილობრივი დაბნელება გამოჩნდება საქართველოდანაც. 21 ივნისს მზე დაბნელებას თბილისის დროით 08:49 საათზე დაიწყებს, პიკს 09:48 საათზე მიაღწევს, 10:52 საათზე კი დასრულდება.

დაბნელების პიკში მთვარე მზეს 99,4 პროცენტით დაბლოკავს ჩრდილოეთ ინდოეთის ცაზე.

შემდეგი რგოლისებრი დაბნელება 2021 წლის 10 ივნისს მოხდება, მაგრამ სრულად მხოლოდ არქტიკიდან გამოჩნდება. იქამდე კი, 2020 წლის 14 დეკემბერს, მზის სრული დაბნელება მოხდება სამხრეთ ამერიკაში, ჩილესა და არგენტინის გარკვეულ ტერიტორიებზე.

◎ ქოთანს ყური სადაც გინდათ, იქ გამოაბით, ოღონდ სამართალმა იზეიმოს!

# სასამართლოსი ნუ გეშინია, გეშინოდეს მოსამართლისა



**ქვეყანაში მართლმსაჯულების გაუმჯობესებისა და ამ მიზნით სათანადო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის, ქართული მედია, პოლიტიკური პარტიები, საერთოდ, საზოგადოება, მოსამართლეების უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იჩენს. ეს არ არის გასაკვირი — სამართლიანობისაკენ სწრაფვა ადამიანების გენეტიკური მოთხოვნილებაა.**

მოსამართლეების უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი განპირობებულია იმითაც, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მოსამართლის როლი გამორჩეულია — ბრალდებულის მიმართ საბოლოო ვერდიქტი მას გამოაქვს. ამიტომ იგი უნდა ხელმძღვანელობდეს პრინციპით — „მე სხვაგვარად არ შემიძლია" და არა ეგოისტური მოსაზრებით — „მე ასე მსურს". წინააღმდეგ შემთხვევაში, სანიმუშო კანონებიც რომ გვქონდეს, სამართალი მაინც ვერ იზეიმებს. ჩვენთვის მიუღებელია იურისტ ვალერი გელბახიანის (რომელიც ტელევიზიით თითქმის ყოველდღე გვმოძღვრავს)" განცხადება: ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ისეთი კანონები აქვთ, რომლებიც მოსამართლეებს მათი თვითნებური ინტერპრეტაციის საშუალებას არ აძლევსო.

ტყუილია! ასეთი კანონები ადამიანის გონებას ჯერ არ შეუქმნია და, ალბათ, ვერც შექმნის. როგორც ქოთანს ყურს საიდანაც გინდა, იქედან მოაბამ, კანონებიც ამ თავისებურებით ხასიათდება. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთის მეფე ლუი XIV თავის მარშლებს ეუბნებოდა: თქვენ დაიპყარით ტერიტორიები და მე ყოველთვის ვნახავ ისტორიკოსებს, რომლებიც ამ ტერიტორიებს საფრანგეთისადმი კუთვნილებას დაამტკიცებენ და ვნახავ იურისტებს, რომლებიც იურიდიულად გაამართლებენ თქვენს ქმედებასო. ინგლისის მეფე ჩარლზ I სასამართლო პროცესზე თავის თავს ადვოკატის გარეშე თვითონ იცავდა მისთვის ურყევი არგუმენტით: ეს კანონები, რომლითაც თქვენ მე მასამართლებთ, დაწერილია თქვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის, ისინი ჩემზე არ ვრცელდებიან. ჩემი ერთადერთი მსაჯული ღმერთია, მე ღვთივკურთხეული ვარ.

კანონების მარგი ქმედება მხოლოდ იქ არის მაღალი, სადაც ჯანსაღი, განვითარებული საზოგადოებაა, სადაც თითოეულმა მოქალაქემ იცის თავისი უფლება-მოვალეობანი, სახელმწიფოში, სადაც დემოკრატიული მართვის პრინციპებია დამკვიდრებული. დაავადებულ საზოგადოებაში, რა კარგი კანონებიც უნდა მიიღონ, მართალი მართლმსაჯულება მაინც ვერ დამკვიდრდება, მოსამართლის პიროვნულ თვისებებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამიტომ არსებობს ასეთი გამოთქმა: „სასამართლოსი ნუ გეშინია, გეშინოდეს მოსამართლისა". თუმცა, დაავადებულ საზოგადოებაშიც არსებობენ მოსამართლეები, რომელთათვისაც თემიდასადმი ერთგული მსახურება ცხოვრების მიზანია. ამის ერთ-ერთი მაგალითი გამოჩენილი რუსი იურისტის ა. კონის მოღვაწეობაა. იგი იყო იმ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც, 1878 წელს, ცნობილ რევოლუციონერს, ვერა ზასულიჩს ასამართლებდა.

ვერა ზასულიჩმა შური იძია პეტერბურგის პოლიციის უფროსზე გენერალ ტრეპოვზე, რომლის ბრძანებითაც, პოლიტპატიმარი, სხვა პატიმრების თვალწინ, სასტიკად გაროზგეს. ზასულიჩმა დამბაჩით დაჭრა პოლიციის გენერალი და ამისათვის დიდი სასჯელი ელოდა, მაგრამ ამ ფაქტს ისეთი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იგი გაამართლა. გენერალ ტრეპოვის დაჭრა სამართლიან ქმედებად განიხილებოდა, რომელიც ადამიანის ღირსების დასაცავად იყო მიმართული. ამიტომ, ვ. ზასულიჩის მიმართ სიმპათიებით იყვნენ განწყობილი არა მხოლოდ რევოლუციონერები, არამედ ლიბერალური ბურჟუაზიაც.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის საშიშროებას მეფის მოხელეები გრძნობდნენ და ურჩევდნენ ა. კონის სასამართლოს მსვლელობისას ისეთი პროცესუალური დანაშაული ჩაედინა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას იძლეოდა. ამ შეთავაზებაზე ა. კონიმ სასტიკი უარი განაცხადა და დაუპირისპირდა იუსტიციის მინისტრს გრაფ პანინს. მეფე ალექსანდრე II ვ. ზასულიჩის მკაცრად დასჯას მოითხოვდა. მას შეეძლო, ერთპიროვნულად გაეუქმებინა სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ ვერ გაბედა. აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მონარქიც კი იძულებული იყო, გაეთვალისწინებინა იმდროინდელი რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების განწყობა.

მეფე, მასთან დაახლოებული პირები და რეაქციული პრესა ა. კონის ბრალს სდებდნენ, თითქოს ნაფიცი მსაჯულები მან წააქეზა გამამართლებელი განაჩენის გამოტანისათვის. მათ სურდათ, თანამდებობიდან გაეთავისუფლებინათ კანონის ძალით მუდმივად დანიშნული მოსამართლე, რათა შემდგომში სხვა მოსამართლეები უფრო დამთმობნი ყოფილიყვნენ.

იუსტიციის მინისტრი ხან მუქარით, ხან „მეგობრული რჩევით" ცდილობდა მეფის ნება-სურვილის აღსრულებას, მაგრამ ა. კონი თავის პოზიციებს მტკიცედ იცავდა. იგი საკუთარი განცხადებით თუ დატოვებდა თანამდებობას და ადვოკატობას დაუბრუნდებოდა. მატერიალური თვალსაზრისით ეს მისთვის უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ადვოკატობა მას კერძო და არა საზოგადოებრივი ინტერესების მსახურებად მიაჩნდა. ნებით თანამდებობიდან გადადგომაზე თავის უარს იგი ასე ასაბუთებდა: მე, სახელმწიფოს პირველი სასამართლოს თავმჯდომარე, ცნობილი იურისტი, კათედრის გამგე, კაცი, რომელსაც დიდი წარმატებები ექნება ადვოკატურაში, თქვენს უსამართლო მოთხოვნაზე თუ დავთანხმდები და მონური მორჩილებით, დაკავებული თანამდებობიდან „ნებაყოფლობით" გადავდგები, ეს დიდ უარყოფით გავლენას იქონიებს სახელმწიფოს მართლმსაჯულებაზე, პროვინციებში უვადოდ დანიშნულ მოსამართლეებზე. ბუნებრივია, ისინი იფიქრებენ: ისეთი ცნობილი პიროვნება, როგორიც ა. კონია, ხელის ერთი დაქნევით თავიდან მოიცილეს, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, სახელმწიფოს მოხელეების ნება-სურვილის აღმასრულებლები უნდა გავხდეთო და ასეც მოიქცევიან, რაც საბოლოოდ დაანგრევს სასამართლო სისტემას.

ა. კონის ასეთმა სიმამაცემ, შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე მონარქებიც კი მისადმი სიმპათიებით განაწყო, ალექსანდრე III-მ იგი ობერპროკურორადაც კი დანიშნა.

ქვეყანაში თუ ა. კონის მსგავსი მოსამართლეები არ არიან, ან იშვიათად არიან, მაშინ საზოგადოება დაავადებულია და მას სერიოზული მკურნალობა სჭირდება. ამიტომ, უპირველესად საზოგადოების „განკურნებაზე" უნდა ვიზრუნოთ, რაც, ცხადია, უფრო რთული საქმეა, ვიდრე მართლმსაჯულებისათვის ღირსეული საკანონმდებლო ბაზის შექმნა.



ანატოლი კონი

ა. კონიმ სასტიკი უარი განაცხადა და დაუპირისპირდა იუსტიციის მინისტრს გრაფ პანინს. მეფე ალექსანდრე II ვ. ზასულიჩის მკაცრად დასჯას მოითხოვდა. მას შეეძლო, ერთპიროვნულად გაეუქმებინა სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ ვერ გაბედა. აბსოლუტური ძალაუფლების მქონე მონარქიც კი იძულებული იყო, გაეთვალისწინებინა იმდროინდელი რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების განწყობა.



ვერა ზასულიჩი

**ვაჟა თვალავაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

# ჩეჩნები, ნარკოდილერები და პუტინის მადიდებელი ლოზუნგები

## რა ხდება ფრანგულ დიჟონში

**საფრანგეთის აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ დიჟონში ჟანდარმერიის დამატებითი ძალები გადაისროლეს. ამის მიზეზი რამდენიმედღიანი არეულობებია.**

უკვე მეოთხე ღამეა, გრიზელის რაიონში გრძელდება არეულობები, რომელიც პარასკევს ღამით ერთი მხრივ, ჩეჩნეთის და მეორე მხრივ, ალჟირისა და მაროკოს მკვიდრებს შორის შეტაკებით დაიწყო. ამის მიზეზად ჩეჩენი მოზარდის ცემა იქცა. როგორც ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლები აცხადებენ, მას ნარკოდილერები დაესხნენ თავს, რომლებიც რაიონს აკონტროლებენ.

დიჟონში საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქიდან ჩეჩნეთის 100-მდე მკვიდრი ჩავიდა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ჩრდილოეთ აფრიკის მკვიდრთა კუთვნილი ჩილიმ-ბარის ინტერიერი დალეწეს. პოლიციის თანამშრომლებთან შეტაკებებში 10 ადამიანი დაშავდა. შეტაკებები გაგრძელდა ღამითაც და ორშაბათსაც. თუმცა ხელისუფლების მონაცემებით, ორშაბათს მათში ჩეჩნები აღარ მონაწილეობდნენ.

საფრანგეთში მცხოვრები ისტორიკოსი მაირბექ ვაჩაგაევი აღნიშნავს, რომ კვირას დიჟონში ჩასულმა ყველა ჩეჩენმა ქალაქი დატოვა და არეულობებზე პასუხისმგებლობა ნარკოდილერებს ეკისრებათ.

სოციალურ ქსელებში გავრცელდა კადრები, რომელიც დიჟონში, შენობების კედლებზე დატანილ წარწერებს ასახავს — ეს რუსეთისა და ვლადიმერ პუტინის მადიდებელი წარწერებია. არადა, საფრანგეთის ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლების უმრავლესობამ თავის დროზე სამშობლო სწორედ კრემლის რეჟიმის მიერ დევნის გამო დატოვა.



ადგილობრივი პოლიციისა და დიჟონის ხელისუფლების მისამართით ისმის პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიცია ფაქტობრივად არ ჩარეულა მიმდინარე მოვლენებში და არც უცდია, შეეჩერებინა არეულობა, რომლის მონაწილეები ჰაერში ისროდნენ, ნაგვის ურნებსა და ავტომობილებს წვავდნენ. მემარჯვენე რადიკალური ოპოზიციური პარტია „ეროვნული გაერთიანების" ლიდერმა მარინ ლე პენმა ხელისუფლება უმოქმედობაში დაადანაშაულა, განაცხადა, რომ „ქვეყანა ქაოსში ეფლობა" და დიჟონში ჩასვლა დააანონსა.

თავის მხრივ, ბურგუნდია-ფრანშ-კონტეს რეგიონის პრეფექტმა ბერნარ შმელცმა იმით იმართლა თავი, რომ „ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობა დაცული იყო".

**„აქცენტი**

# ჯუჯა ჯორჯიადან - ლაშა ტალახაძემდე

## ციკლიდან „ოცნებას კაცი არ მოუკლავს"



**მირონ ხერგიანი**

ზეციურმა პატრულმა ღმერთის წინაშე მახინჯი არსება წარადგინა.

– უფალო აი, ეს ვიღაცა ჯუნგლებში დაბოდიალობდა და გზას ვერ იგნებდა. ვერც ლაპარაკობს, კრიჭა აქვს შეკრული. მარჯვენა ხელზე იმ უწმინდურების დამღა აღმოვუჩინეთ. ალბათ, საცდელი ლაბორატორიიდან გამოექცათ, ან სანაგვეზე გადააგდეს, – მის სიახლოვეს ვიპოვეთ. ბავშვი გვეგონა და თავზე წელთაღრიცხვის რგოლები რომ დავუთვალეთ, ათასწლეულებში მიდის...

– ვიცი, ვინც არის: – საქართველოა.

– მმმ!..მმმ! – უარყოფის ნიშნად ხელები გაასავსავა ჯუჯამ.

– რა დღეში მიყრის ჩემს ქმნილებებს შეჩვენებული სატანა! – ამოიოხრა უფალმა და სინანულით თავი გადააქნია, – არ უნდა დამენდო... ნახეთ, ეს უბედური რას დაუმსგავსებია!.. დედამისი რას ამბობს?

– წუხს და ტირის, მაგრამ ვერაფერს ასმენს.

– შემოვიდეს და მეთვალყურე ანგელოზიც შემოჰყვეს.

დამწუხრებული ღვთისმშობელი ანგელოზთან ერთად შემოვიდა. ანგელოზის დანახვაზე, ჯუჯამ ღმუილი დაიწყო და პატრულის ხელიდან დასხლტომას ლამობდა.

– როგორ დაფრთხა. გიცნო? – ჰკითხა უფალმა.

– არა, ვერ მცნობს. ჩემ ჩაჩქანზე გამოსახული ლომი აშფოთებს, თითქოს ახსენდება, ოდესღაც მაგისი ტოტემი რომ იყო და ბორგავს.

– სიახლოვე გიცდია?

– ისეა შეცვლილი და ფსიქოტრონიკით ტვინდამახინჯებული, გამირბის, იწიხლება და იკბინება.

– საბრალო! – მხარზე მოსათათუნებლად ხელი გაიწოდა უფალმა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა, – აბა, გაუხსენით საინფორმაციო ღრუ.

პატრულმა ჯუჯას სახეზე ხელი მოუტანა: – დახშული აქვს, უფალო!

– ძალით გაუღეთ და ნაკურთხი წყალი დაალევინეთ, ცოტა აზრზე მოვიდეს.

პატრულმა ბრძანება შეასრულა. ჯუჯამ სუნთქვაშეკრულივით ამოიხრიალა.

– შვილო, მიცანი? – თვალდაჭყეტით მიჩერებულს ჩაეკითხა უფალი.

ჯუჯამ თავი ბეჯითად დააქნია, სულ კანკალებდა.

– მეშინია!.. – ამოიღმუვლა.

– ნუ გეშინია, – ღიმილით დაუყვავა უფალმა, – რაკი ჩემთან მოხვდი, გადარჩენილი ხარ... რისი გეშინია, მომიყევი, – ტახტზე გაიმართა და პირჯვარი გადასახა. ჯუჯამ, თითქოს ხმალი მოუქნიესო, მომენტალურად სახე აარიდა.

– მძიმე შემთხვევაა... – თავისთვის ჩაილაპარაკა უფალმა.

კიდევ დაალევინეს ნაკურთხი წყალი.

– მათი მეშინია, უფალო, ჩემზე ცდებს ატარებენ და მკლავენ! – ერთბაშად აქვითინდა და დადუმდა.

– განაგრძე!

– ვინ ვარ, არ ვიცი, თქვენ თქვით „საქართველოაო," მაგრამ არ ვიცი, ეს რას ნიშნავს, ისინი „ჯუჯა ჯორჯიას" მეძახიან...

– განაგრძე!

– მეშინია გათენების... დაღამების... ხვალინდელი დღის... მეშინია ჩემი დამახინჯებული, დაპატარავებული სხეულის... უსიყვარულობის მეშინია, უფალო! – ჯუჯა ტირილით მუხლებზე დაეცა, სახეზე ხელები აიფარა.

– განაგრძე!

– ქვეყანაზე ყველაფრის მეშინია... უპატრონო ვარ, უთვისტომო... მომავალი მაშინებს... ყველაზე მეტად შენი მეშინია, უფალო!..

– ეს მათ გითხრეს?

– ჩამაგონეს, ღმერთი არ არსებობსო, თურმე, მატყუებდნენ!.. – ჯუჯა უფლის ფეხებთან პირქვე ჩაემხო. აღარ განძრეულა.

მცველები მისცვივდნენ.

– გაითიშა, უფალო!..

– არა უშავს. წაიყვანეთ და მოსულიერდება.

– ზრდის ჰორმონები ხომ არ დავუნიშნოთ? – იკითხა ანგელოზმა.

– არ უნდა. დედამ „იავნანა" უმღეროს. თვალღია სიზმარში გაახსენდება ვინც არის და თავისით გაიზრდება...

ერთბაშად გამეღვიძა, დივანზე ჩამძინებია. ისევ უცნაური სიზმარ-ცხადის გავლენის ქვეშ ვარ...

„გაიზრდებაო!" – რამ უნდა გაზარდოს? – თვალწინ საქართველოს რუკა დამიდგა. მართლაც ვეფხვის მოყვანილობა აქვს, თუმცა, დღეს „ვეფხვს"თავი წაცლილი აქვს (აფხაზეთი) და გულიც – ამოგლეჯილი (სამაჩაბლო). მას ქვემოდან სხვებიც უფუთფუთებენ და „მუცელს" უკვე თვალდათვალ ფატრავენ, – აგერ დავით გარეჯი შველას ითხოვს და მშველელი არავინ არ ჩანს...

... ამ უამური ფიქრებისგან თავი ამტკივდა. წამოვჯექი. სახლში მარტო ვარ. საათს შევხედე და გამიკვირდა: როგორ წუთიერი ყოფილა სიზმარი!.. გამახსენდა, მეუღლე პურის საყიდლადაა ჩასული. გარეთ კორონავირუსი მძვინვარებს. ორი დღის წინ შინ კარანტინი გამოაცხადეს. თუმცა, ამაზე უარესი რა უნდა შეგვეყაროს, რაც დღეს გვჭირს?

რატომაა, რომ ამ ათეული წლების მანძილზე, საქართველო ისევ ოკეანის აბობოქრებულ ტალღებს მიცემული გემივით დაბორიალობს, მიმართულება ვერ უპოვია და რა გვინდა, სად ვართ, ვისთან ვართ, დღემდე ისიც ვერ გაგვირკვევია. იქნებ, ყველა პრობლემა მტკიცე ხელის მესაჭის არქონაშია?



შედარებისთვის, გადავხედოთ, რა ხდება ამ მხრივ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში:

– კოსმოსურმა ვეტერანმა ვალენტინა ტერეშკოვამ (ცოცხალი ყოფილა!) მაგიდაზე მუჟიკურ-საბჭოური მუშტი დასცხო და პუტინი თლა „კაშჩეი ბესსმერტნად" ვერა და ეგრევე რუსეთის უვადო იმპერატორად გამოაცხადა.

– აზერბაიჯანს ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ალიევების უცვლელი დინასტია მართავს და ეს იმ ერის ცნობიერებაზე სრულიად მორგებულია: ხალხს ამჟამინდელი ბელადი, – უმცროსი ილჰამ ალიევიც მამამისივით უყვარს, აიდეალებს, ქვეყანაც დაცულია და მტკიცედ ვითარდება. დემოგრაფიულად ხომ, პირდაპირ ყვავის.

– ბელარუსებს საბჭოური რაც გადმოჰყვათ, კმაყოფილები არიან (საკოლმეურნეო სისტემა, უფასო მედიცინა, განათლება...). საბაზრო სოციალიზმის მშენებელ ამ ქვეყანას უცვლელ ლიდერად ლუკაშენკო ჰყავს, მეტად თავისებური კაცი, ზოგჯერ პუტინსაც რომ ეჭიმება ხოლმე...

– სომხეთში საპრეზიდენტო მარათონში ხალხის რჩეულმა, მამაცმა და შეუპოვარმა, პროფესიით ჟურნალისტმა ფაშინიანმა გაიმარჯვა. ეს ქვეყანა აღმავლობის გზას ადგას, რაც, გარკვეულწილად, მძლავრი სომხური ლობის დამსახურებაცაა. „ველიკაია არმენიაზე" მეოცნებეები, არცთუ „დინჯად ჩქარობენ." რუსების ხელდასხმით, ჩვენი აფხაზეთი დემოგრაფიულად უკვე შემოიმტკიცეს და კიდევ რა აქვთ ჩაფიქრებული, ამას მომავალი გვიჩვენებს...

– უკრაინის პრეზიდენტი მსახიობია, ხალხმა კომედიურ ტელესერიალში პრეზიდენტის როლის შესრულებისთვის შეიყვარა და ვირტუალურიდან ქვეყნის რეალურ მმართველად აქცია...ჯერ ახალბედაა და მასზე ვერაფერს ვიტყვი.

– ნაზარბაევი ასტანაში ზოგჯერ საერთაშორისო შეხვედრებსაც მასპინძლობს ხოლმე და ა. შ.

ვხედავთ, რომ ეს ქვეყნები ავად თუ კარგად, თავის ეროვნულ სივრცეებში აგრძელებენ განვითარებას. ჩვენ ხომ ამ ქვეყნებზე ბევრად დაწინაურებული, მეტიც, მთელ კავშირში პირველ ადგილზე მყოფი ქვეყანა ვიყავით? დღეს საგარეო ვალებში ვიხრჩობით და ეშმაკმა უწყის, წინ კიდევ რა გველოდება. რა ხდება ჩვენ თავს?..

...ამ ფიქრებმა ემოციურად ძალიან დამამძიმა... წარმოსახვით ვეძებ ადგილს, სადაც სუნთქვა ჯერ კიდევ შეიძლება და აჰა, ვიპოვე კიდევაც. არა, ეს წინაპრების სამყარო როდია, ასეთ მომენტებში სულის მოსათქმელად რომ მივაშურებ ხოლმე, სადაც ჩემი უზომოდ მონატრებული შვილიც მეგულება. ეს უკვე სხვა განზომილებაა. ვეკითხები:

– ბავშვებო, მოგწონთ, როგორც ვცხოვრობთ?

ბოჩოლას სუფთა, უმანკო თვალებით შემომცქერიან.

– დიიახ!... არა!.. – არეული პასუხები.

– ხელისუფლება? – მხრებს იჩეჩავენ. არ იციან.

– პარლამენტი?

– არა!.. არა!..

– რატომ?

– სულ ჩხუბობენ! აი, ასე, – ერთმანეთს ცელქად უტყაპუნებენ.

– პრეზიდენტი? იცნობთ პრეზიდენტს? მოგწონთ?

– დიიახ!... არა...! – უწადინოდ.

– ხომ გინდათ, ძლიერი ქვეყანა გვქონდეს?

– დიიახ!..

– ქვეყანა ძლიერი რომ იყოს, ან თავად უნდა იყოს მიწა-წყლით დიდი და მძლავრი, ან ქვეყნის მმართველი უნდა იყოს ძალიან, ძალიან გონიერი და ძლიერი. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა დიდი არასდროს არ ყოფილა, სამაგიეროდ, მეფეები გვყავდნენ სახელოვანი და ძლიერები. რომელი მეფე გახსენდებათ ასეთი?

წამოძახილები: დავით აღმაშენებელი!..ვახტანგ გორგასალი!..

– თამარ მეფე, – ვაშველებ, –გინდათ ისევ მეფე გვყავდეს?

გაოცებული თვალები. სიჩუმე. მერე მხიარული წამოძახილები:

– გვინდა!..გვინდა!..

– მაგრამ მეფეები აღარ არსებობენ (აშკარად ვატყუებ). მათ ნაცვლად ყველგან პრეზიდენტებს ირჩევენ. აბა, დაფიქრდით, გონების თვალი გადაავლეთ, ვის აირჩევდით, ვინ გეგულებათ ისეთი ღირსეული, რომ მსოფლიოში ყველაზე, ყველაზე კარგი პრეზიდენტი ქართველებს გვყავდეს.

სიჩუმე. საოცარი საყურებელია ფიქრთა დენა ბავშვთა თვალებში: – ძარღვებში სასიცოცხლო პრანას ამმოძრავებელი...

– ვინ გეგულებათ ისეთი, ვინც საქართველოში ყველას, დიდსაც და პატარასაც უყვარს... ყველასთვის საამაყოა, მსოფლიოში ყველაზე, ყველაზე ძლიერიცაა, – ვეხმარები.

– ლაშა ტალახაძე! – მხიარული წამოძახილები...

– ლაშა მეც მიყვარს. – მეცინება, – წარმოიდგინეთ, ეგ რომ პრეზიდენტი გახდეს, მთელ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი კაცი მართლაც საქართველოდან გვეყოლება და საერთაშორისო შეხვედრებზე სხვა პრეზიდენტებს რომ შეხვდება, შეხედავენ და – ვაა! გაიკვირვებენ, – ავყევი წარმოსახვებში. მათაც მეტი რა უნდათ, სიხარულით აჟივჟივდნენ:

– მაგხელას რომ დაინახავენ, შეეშინდებათ!

– რუსებს შტანგას ჩასცხებს თავში!

– აი, ასე! – ერთმანეთს უტყაპუნებენ...

...ბავშვების წმინდა, ნათელ სამყაროს ვტოვებ და ჩაჟანგებულ რეალობაში ვბრუნდები... დამცინავი ხითხითი ჩამესმის, ძმები გერძენიშვილების ხლიწინა ხმასაც ვარჩევ. ვალპურგის ღამის ავსულებივით აწივლდნენ ლიბერასტული ენჯეოები და სახალხო დამცველის მკვდარი აპარატიც, ზღაპრის კუდიანივით, მხოლოდ უზნეობის დასაცავად რომ ცოცხლდება ხოლმე და ხელ-ფეხაცეკვებული ცოლ-ქმარ ბოკერიების ჰომეროსული ხარხარიც მიმოწმებს, რომ ბავშვებმა მართლაც რაღაც ძალიან ახალს, სრულიად განსხვავებულს და ბევრად ჯანსაღს „მოარტყეს..."

– მოზარდის გონება ცინცხალია, ყოფიერების ჭუჭყით დაუბინძურებელი, – ვმსჯელობ ჩემთვის. – „მეფე შიშველიაო!" – აკი პატარა ბიჭის ამ წამოძახილმა აუხილათ თვალები სამეფო კარის ფარისევლებს ანდერსენის ზღაპარში. გენიოსი ალბერტ აინშტაინიც ამბობს: „მოზრდილი ადამიანი საერთოდ არ ფიქრობს სივრცისა და დროის პრობლემებზე, რადგან ბავშვობაში ამაზე უკვე ნაფიქრი აქვსო". ჰერაკლეს მარტივად გამოხსნილი „გორდიას კვანძიც" გამახსენდა, აკადემიური ცოდნით შეუზღუდავი, მოყვარული დილეტანტების მნიშვნელოვანი აღმოჩენებიც და პლატონის გენიალური ნათქვამიც – ჭეშმარიტება ბავშვებშიაო...

დამეთანხმებით, ჩვენი ქვეყნის ძლიერება ზენიტში მართლაც მაშინ იყო, როცა მას ერთმმართველი მონარქის მტკიცე ხელი მართავდა და იმ ხელით ერთდროულად „გალობანი სინანულისანიც" იწერებოდა, სინერგიული თანხმობა სუფევდა უფალს და მის მიწიერ ხელდასხმულს შორის. ამ ჰარმონიის გამო ქართველებს სხვებიც პატივს გვცემდნენ და ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდული ზეცაც ხარობდა.

აქვე ჟამთასვლისათვის არცთუ შორეული წარსული, ორი საუკუნის წინანდელი ვითარებაც გავიხსენოთ: ათასწლეულებით მოტანილი მონარქიული მმართველობა რუსებმა გაგვიუქმეს, სამეფო გვარი მოაშთეს, ფესვები გადასხიპეს, მაგრამ ერის ცნობიერებიდან, გენეტიკიური მეხსიერებიდან ვერც რჯული ამოძირკვეს და ვერც ქართველი მონარქის, როგორც ერის მამის და პატრონის ხატება ამოშანთეს. გადაჭრილ ფესვებსაც არსებობა არ შეუწყვეტიათ და როგორც კი ჟამი დადგა, მეფის მონატრებული იდეალი ერმა ზვიად გამსახურდიაში გაანივთა და რეალიზება რომ დასცლოდა, ეგებ კიდევაც გვშველებოდა...

რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, შემდეგ იგივე განმეორდა ნევრასტენიკი მანიაკის, არაქართული ცნოგიერების, მაგრამ ერთმმართველი მონარქის თვისებების მქონე




საააპაშვილთან. „ყურძნის სიყვარულით დოგეს კოცნიდნენო“ – ქართველთა სისხლით და ცრემლით დალპოგილ ცოდვიან „დოგეს“ კერპთაყვანისცემაში ჩაციკლულები დღემდე ლოშნიან...

ახლახანს გაოგნებული ვუყურებდი უცნაურ კადრებსაც: „მეფე ნარიმან ბაგრატიონიო!“ – ფანატიკოსთა ლაშქარი დაჰყვება ბერი გაბრიელის მოწაფე ნიკოლოზს. ამას ვერც სექტას დაარქმევ და ვერც – ეკლესიას, იფიქრებ, მეფის და მაცხოვრის მოწყურებულ მონატრებას, მის უჩვეულო ტრფობას ერთბაშად ამოუხეთქავს ამ ხალხში და სხვა ყველაფერი დავიწყებიათო. რა არის ეს? საიდან მოდის? რა სახელი დაერქვას? ატავიზმის გამოვლენაა, თუ რწმენითი მეხსიერების შორეული იმპულსები?

ახლა ვნახოთ, რა არჩევანი მიიტანეს ჩემმა პატარა გენიოსებმა. ვინ არის ლაშა ტალახაძე? – ინტერნეტში დავიწყე ძებნა... აი, ისიც: იმერელი კაცი ყოფილა, საჩხერელი, მამაც ძალოსანი ჰყოლია. 27 წლის ასაკში ლაშა უკვე ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ოთხ-ოთხგზის ჩემპიონი და მრავალგზის რეკორდსმენია; მინიჭებული აქვს საქართველოს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი, არის ღირსების ორდენის კავალერი, აურჩევიათ ბათუმის საპატიო მოქალაქედ, მიკუთვნებული აქვს „კეთილი ნების ელჩის“ ტიტული. გასულ წლებში მასზე წიგნიც გამოუციათ...

ლაშას ღირსებებს ჩემეულებსაც დავამატებ:

– სიჯანსაღე, ძლიერება, სიდინჯე, ტაქტი, შრომისმოყვარეობა, ოჯახიშვილობა, უმაღლესი სპორტული გამოცდილება, ღვთის რწმენა (მარტო ის რად ღირს, გოლიათი ახალგაზრდა შტანგასთან მამაპაპურად პირჯვრის წერით რომ დგება, ისე კი არა, პოზიცია-ოპოზიციის ფარისევლებს ეკრანზე გამოსაჩენად რომ სჩვევიათ ხოლმე). რაც მთავარია, ლაშა ქართველ ერს დიდ-პატარიანად მართლაც ყველას უყვარს, პატივს სცემს, ეამაყება და ეიმედება. აღტაცების და სიყვარულის სტატუსებმა ინტერნეტი წალეკა...

ამჯერად იმ ქირქილ-ხითხითა სუბიექტებს ვეკითხები, ლაშა ტალახაძეს ზოგმა მეტყველება და ზოგმაც საქციელი დაუწუნა და გალანძღა – „გახარიას ხელი რომ რატომ ჩამოართვიო“, – საქართველოში დღეს ბევრი გეგულებათ, ლაშას ასაკში მსგავსი დამსახურებისთვის, ამგვარი საერთო ეროვნული სიყვარულისთვის რომ მიეღწიოს? ამას იმ დათო ბერძენიშვილის შვილსაც ვეკითხები, ცირკთან მდგომი გაპარსული თავისნაირების დასახმარებლად, ფულის შეგროვება რომ დაუწყია.

ჩემი ვირტუალური ბავშვების რჩეული, თუ საჭირო იქნება, არ ითაკილებს, ტრაქტორსაც მოაჯდება და მიწას დახნავს, ჩამოწოლილ ზვავმეწყერებს ნიჩბით გახვეტავს, სპორტს, ჯანსაღ ცხოვრებას ააღორძინებს, თავისი მაგალითით და შემართებით ჭიანებს აამოქმედებს. ჩვენს პატარა, კატასტროფულად განლევად ერს დასაკარგავი, ნარკოტიკში ჩასახრჩობი ახალგაზრდობა არა ჰყავს. სხვა თუ არაფერი, პარლამენტის წინ პატრულთან სამარცხვინოდ, უშნო ჭინთვებით მობღლარძუნე „სირცხვილიას“ წევრებს ლაშა „სპორტულად წამოუთაქებს“ ფორმაში ჩააყენებს, ჯანსაღი ცხოვრებისკენ შემოატრიალებს და ქვეყნის სამსახურში ჩააყენებს. ცოტაა, განა? იქნებ, ეს ახალგაზრდა კაცი ბავშვების თვალებით დანახული ის ლოდი აღმოჩნდეს, მხოლოდ ნატეხების შემოცლა რომ სჭირდება და ფიდიასის სასწაულებრივი ქმნილებასავით, მზესავით გამოანათოს? ასეთს რა, არ დამშვენდებოდა პირველკაცობა? საამისოდ, შესაძლოა აკლდეს სათანადო განათლება, საზოგადოებრივი გამოცდილება და პოლიტიკისაც ინჩიბინჩი არ გაეგებოდეს, ეს არცაა გასაკვირი: სხვა ორბიტაზე მოძრავი კაცია. არ იცის და ისწავლის, ხელისუფლებაში ზოგიერთი პოლიტიკოსი როა, ლაშა ბევრ ისეთს აქედანვე „ჯიბეში ჩაისვამს.“ მაგალითს უდიდესი ძალა აქვს. მე სამაგისო წლები არ მომდევს, სამაგიეროდ, ჩემი კუთხის ახალგაზრდები ლაშას გვერდით მურყვამებივით ამოუდგებიან. მთელ საქართველოში წამოვლენ ჯანსაღ ტრადიციებზე აღზრდილი ახალ-ახალი თაობები, ქურდ-ყაჩაღებს, ნარკუშა-პედერასტებს, მავნებელ ენჯეოებს, ნეოლიბერალებს და სხვა ჩამოწერილ, უსარგებლო ბალასტს ახლოს რომ არ გაიკარებენ და გაჯანსაღდება, ამაყად წელში გაიმართება არასრულფასოვნების კომპლექსით, ნიჰილიზმით დათრგუნული ჩვენი ერი.

აი, მაშინ ნახეთ ამათი ჟიმჟიმი და რიარია!.. პარლამენტის სხდომათა დარბაზში მყრალი სუნის გამშვები ქვის ხანის დედაკაცები ლაშას ფეხებს ვერ მოსჭამენ, მაგრამ კბენა-კაწვრას კი დაუწყებენ; გოგოლის „ვიის“ უნიფხვო კუდიანივით კისერზე ჩხავილით შემხტარი თინა ბოკუჩავა კი იგივეს – თავზე (რაო, არ უსხმარტალია კაცების თავებზე, თუ?). ჩვენი ცოცხალი მონუმენტიც „იქით გორასა წიხლსა ვკრავ, აქეთ გორასა ძვრას ვუზამო!“ – გოლიათურ მხრებს ერთს შეიბერტყავს და ქინქლებივით მისეულ ნაცებს და მათ ნამსხვრევებს აქეთ-იქით მოისვრის. ხომ ვნახეთ, როგორ ლომზე მოტანებული გიენების ხროვასავით მიფანტ-მოფანტა მათსავით წკავწკავა ელგებეტელები კოდორის ლომმა – ემზარ კვიციანმა; თუ თვალმა არ მომატყუა, ბერძენიშვილების ზუკაკოც ტორის ერთი მოქნევით ჩაამთხლევა და ტალახაძეს ეს გაუჭირდება?! მისნაირებს შემოუძახა ბესო ზანგურმა: – სანამ ტალახაძეს შტანგას გაუსწორებთ, ტანგა გაისწორეთ, „ბიჭებოო!“

„თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო“ – ლაშა ტალახაძეს პოლიტიკური, სამეცნიერო, შემოქმედებითი წრეებიდან უსამართლოდ განზე გაწეული, მაღალი სამოქალაქო თვითშეგნების ნაღდი მამულიშვილები ამოუდგებიან გვერდით და ქვეყანასააყვავებენ, წარმატების ახალ ორბიტაზე გაიყვანენ. ლაშა იქნებოდა თუ თუ სხვა, მთავარია, ქვეყნის პირველ პირს ეროვნული ცნობიერება, ჯანსაღი მოტივაცია გააჩნდეს და წარმატებები თავისით დაიძვრება. „ჭე“კლასის დონეზე დამცრობილი საქართველო მსოფლიოს თავის ღირსეულ სეფესიტყვას კვლავაც გადააწვდენს.

ლაშა ტალახაძეც პიროვნებითად, სიმბოლურად შევარჩიე. ბევრი სხვა სახელოვანი „ლაშაცა“ გვყავს საქართველოში, გლობალისტ-ლიბერალების ნაცრისფერ მასაში ჩაკარგულები და მათი კაკაფონიით ხმაჩახშულები. მაგრამ მწამს, რომ როგორც ნერონმა საყვარელი ცხენის დახრჩობისთვის მდინარე დიალა დასაჯა და 360 არხის მეშვეობით გააქრო, მაგრამ დროთა განმავლობაში ნაკადებმა კვლავ ერთმანეთი მონახეს, ჩაეხუტნენ და მდინარემ კვლავ ძველი კალაპოტით იწყო დენა, – დაქსაქსული ქართული ენერგიაც, ჩვენი შვილ-შვილიშვილების ახალგაზრდული ძალმოსილებით აიკრიფება, გამთლიანდება და ვიდრე ეს ცოდვილი დედამიწა იარსებებს, ღვთით დადგენილი კანონზომიერებით, საქართველოსაც უკვდავება უწერია.

ნუ გვიკვირს დღევანდელი ახალგაზრდების მკრეხელური ამოძახილები: „რატომ მეტეორი არ დაგვეცემა!“ „ერთხელ დაიბადო და ისიც – საქართველოში?!“ ანდა „ჩვენ ამ ქვეყნის მართვის თავი არ გვაქვს, უცხოებმა უნდა აგვიწყონო“ და მისთანები... ეს ახალგაზრდები კოსმოპოლიტები როდი არიან, პირიქით, ქვეყნის ბედით შეძრული, დაფიქრებული თაობაა. აქ მოხმობილი ბოლო სიტყვებიც ჩემ შვილიშვილ ბექას ეკუთვნის, ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილ, წესიერ, გონიერ, მორწმუნე ბიჭს... მსგავსი გამწარებული ამოძახილები იმის ნიშანია, რომ ქართული სული არ მომკვდარა, „კომპრაჩიკოსებისგან“ გამრუდებული ცნობიერება გაჯანსაღებას ესწრაფვის, გაუგებარი უცხო კონგლომერატიდან გამოღწევას ლამობს და ჯერ გზა ვერ უპოვია. ამ ახალგაზრდებს გზის გაგნებაში უფროსი თაობა რამენაირად უნდა დავეხმაროთ, ხელი შევაშველოთ, რომ ჩამყაყებული ჭაობიდან როგორმე გავაღწევინოთ, თორემ ის „დაგორებული ქვა“, პატრიარქმა რომ ბრძანა, კვლავ მთელი ძალით მიქრის და სადაცაა, უფსკრულში გადაქანდება. ჩვენი ერი უკვე იმ საშიშ ზღვარს მიუახლოვდა და ვარდნა დიდ-პატარიანად, საერთო ძალისხმევით უნდა შევაჩეროთ. პარლამენტთან უშნოდ მობღლარძუნე „სირცხვილიელებიც“ დაფიქრდებიან, ვის უჭერენ მხარს და და რას ელტვიან. თუ დაავიწყდათ, გაიხსენონ:

ეროვნებაგამოშიგნულმა ნაცჯალათებმა ტერიტორიები მოღალატურად გაასხვისეს, ბიუჯეტი გამოხრეს და უმძიმესი საგარეო ვალები აჰკიდეს, ხალხი უკიდურესად გააღატაკეს, დაიმონეს, აწამეს, ხოცეს, ეკლესიას გადაემტერნენ, ეროვნული, კულტურული ფასეულობები მიწასთან გაასწორეს, პარაზიტი ნაცმილიონერებით მოთესეს ქვეყანა და ყველა ერთად თავზე დაგვასხდნენ, – ამათ შემოტრიალებას ესწრაფვიან?! ემჩნევათ, რომ მათ განვლილი სიმწარე არ განუცდიათ.

ღმერთმა არ ქნას და ნაცჯალათები ხელისუფლებაში თუ დაბრუნდნენ, ვამპირებმა თავისიან-სხვისიანი არ იციან, არც გახარიასავით უხათრებენ და ვაითუ, ჩამსხვრეულ კბილებთან ერთად, პირში საკუთარი სისხლის გემო ამ ახალგაზრდებსაც დააგემოვნებინონ. მათ ქუჩის მიტინგებზე დგომას და ყვირილს ურჩევნიათ, დასხდნენ და ცოდნა გაიღრმავონ, ქვეყნის ისტორია გაითავისონ, თორემ გარეშეები დარჩენილ სამშობლო მიწასაც ისე აგვწაპნიან, მგინებელა დოყლაპიები აზრზეც ვერ მოვლენ.

რატომღაც გვავიწყდება ოკუპირებულ მიწა-წყალზე დარჩენილი ჩვენიანებიც: ოსები და აფხაზები. აბა ვკითხოთ, უნდათ კი თუნდაც ასეთ მომსპარ, სხვების მონად ქცეულ საქართველოში დაბრუნება? რომც უნდოდეთ, შეუჩვეველ ჭირს შეჩვეულს ამჯობინებენ და ქუდიც რომ შემოუგდონ, ცოცხალი თავით ასეთში ყოფნას აღარ მოინდომებენ. ავტონომიები იქით იყოს, რომელი თავმოყვარე კავკასიელი ისურვებს განარკომანებული, გარყვნილი, გაპედერასტებული, უღმერთო, სწორედ რომ „ჯუჯა ჯორჯიასავით“ გადაგვარებული ცნობიერების მეზობლებთან სიახლოვეს? – ამაზეც დავფიქრდეთ. კავკასია მხოლოდ მთებით კი არა, აქ მცხოვრები ხალხებით, მათ შორის, ქართველებითაც იყო ამაყი და გამორჩეულად უნიკალური. „კავკასიელობის“ ფენომენსაც მთების და მთიელთა ურღვევი სიმბიოზი ქმნიდა, მეტიც, – მისი ტიპიური სახის წარმომჩენი და გარესამყაროსთან დამაკავშირებელი ხიდი, სწორედ ქართველები ვიყავით.

ამ თემით მე არაფერს ვამტკიცებ, უბრალოდ, მკითხველს განსჯისთვის ვთავაზობ. ერთი კი ნაღდად ვიცი: ამ ზღვარს იქით უკვე უფსკრულის თვალჩაუდგამი, უმეტყველო სიცარიელე იწყება. სულს კი იმედის სხივი ენატრება, ისევე, როგორც ჩემს წარმოსახვაში რაველის „ბოლეროს“ გულგათანგულ მეუდაბნოე აქლემების ქარავანს – ოაზისის მაცოცხლებელი წყარო...

# ქართული ეკლესია თავადაც პატრონობს თავის მრევლს!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დასავლეთ ევროპისა და სლავური დიასპორის სამთავარეპისკოპოსოს მმართველს, დუბნინის მიტროპოლიტს იოანეს მიმართავს და აცხადებს, რომ „პარიზში სლავური დიასპორის სამთავარეპისკოპოსოს იურისდიქციის ქვეშ ქართული სამრევლოს დაარსების სურვილი ჩვენთვის სრულიად მიუღებელია“.

**„თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, მოგესალმებით ქრისტესმიერი სიყვარულით და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. მოგმართავთ ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხის გამო: ინტერნეტში გამოქვეყნებული ინფორმაციით შევიტყვეთ, რომ გაქვთ სურვილი, პარიზში გახსნათ ქართული სამრევლო და მის წინამძღვრად დანიშნოთ ამჟამად თქვენს იურისდიქციაში მყოფი ქართველი ეროვნების მღვდელმსახური, არქიმანდრიტი იეროთეოზი (მარგველაშვილი), რომელიც ა.წ. 20 ივნისისთვის აპირებს ქართველებისთვის პირველი წირვის ჩატარებას. გაცნობებთ, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ დროებით მყოფ ჩვენს თანამემამულეებზე სულიერ მზრუნველობას ახორციელებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ისევე, როგორც სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები უცხოეთში მყოფ თავის სამწყსოსთან მიმართებაში.**

**მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ჩვენ გახსნილი გვაქვს ეპარქიები და სამრევლოები. საქართველოს საპატრიარქოდან ევროპაში ოთხი მღვდელმთავარი მოღვაწეობს: დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), რომელიც ფარავს საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთს, შვეიცარიას, პორტუგალიას, მალტას და რომელიც მოიცავს 57 სამრევლოს; გერმანიისა და ავსტრიის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), რომელიც მოიცავს 20 სამრევლოს; დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული), რომელიც მოიცავს რვა სამრევლოს; ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი დოსითეოსი (ბოგვერაძე), რომელიც მოიცავს რვა სამრევლოს; გაცნობებთ, იმასაც რომ ქალაქ პარიზში 2009 წლიდან არსებობს წმ. თამარ მეფის სახელობის ქართული ეკლესია თავის სამწყსოთი, რომელიც მიტროპოლიტ აბრაამის დაქვემდებარებაშია და რომელსაც წინამძღვრობს საქართველოს ეკლესიის მღვდელმსახური, არქიმანდრიტი ანტონი (კანდელაკი).**

**ტაძართან ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა და კატეხიზაციის კურსები; ჩამოყალიბებულია ქართულ ხალხურ მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდი, ასევე სპორტსმენთა ახალგაზრდული კლუბი.**



**არქიმანდრიტი ანტონი პარალელურად მზრუნველობას უწევს ჩვენს მრევლს საფრანგეთის 15 დიდ ქალაქში და ყოველ შაბათს მორიგეობით ატარებს იქ წირვებს. ამიტომაც, არქიმანდრიტ იეროთეოსის ხელმძღვანელობით ქართული სამრევლოს დაარსების სურვილი ჩვენთვის სრულიად მიუღებელია და მივიჩნევთ თქვენთან სათანადო კომუნიკაციის არქონის შედეგად, ვიმედოვნებთ, ეს გაუგებრობა დროულად აღმოიფხვრება და არ გახდება იგი დაბრკოლების მიზეზი ჩვენი ურთიერთობისთვის. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ“,** – აღნიშნულია წერილში, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი, მეუფე გერასიმე.

# რასისტებს პირწმინდად ანადგურებენ

**მონობისა და კოლონიალიზმის ისტორიასთან ასოცირებული პოლიტიკოსების, ვაჭრებისა და მეცენატების ძეგლები მთელ მსოფლიოში მოძრაობა BLACK LIVES MATTER-ის სამიზნეებად იქცნენ. ბრიტანეთში, ბელგიასა და შეერთებულ შტატებში აქტივისტების მოთხოვნით ხელისუფლება მათ დემონტაჟს ახდენს.**




რომელ ძეგლებს ანგრევენ BLACK LIVES MATTER-ის აქტივისტები














## ბრიტანული სია

**პოლიციელის მიერ აფროამერიკელი ჯორჯ ფლოიდის მკვლელობამ აშშ-ის ათეულობით ქალაქსა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მასობრივი პროტესტის პროვოცირება მოახდინა და ამა თუ იმ ისტორიული ძეგლების არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ კითხვის ნიშნები გააჩინა.**

Black Lives Matter-ის ბრიტანელმა აქტივისტებმა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე არსებული 60 ძეგლისგან შემდგარი სია წარმოადგინეს.

პროექტ Topple the Racists („დავახვევინოთ რასისტებს") მიზანს ამ ძეგლების დემონტაჟის შესახებ დისკუსიის ინიცირება წარმოადგენს, რათა, როგორც აქტივისტები წერენ, „ბოლოს და ბოლოს, ბრიტანეთმა თავისი წარსულის შესახებ სიმართლე აღიაროს".

სია არ არის დახურული, რაც ხანდახან უხერხულობას იწვევს. მასში, მაგალითად, ფიგურირებს რობერტ პილის ხუთი ძეგლი. ეს უკანასკნელი 1830-1840 წლებში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა, ასევე იყო შინაგან საქმეთა მინისტრიც. პილმა შეიმუშავა პოლიციელთა ქცევის ეთიკის ცხრა პრინციპი, რომელიც ბრიტანელი პოლიციელების მომზადებისას დღემდე გამოიყენება.

ლიდსში არსებული ქანდაკების დემონტაჟის აქტივისტები ანოტაციაში წერენ, რომ მონობის გაუქმების კანონპროექტს პილი განიხილავდა როგორც საფრთხეს ბამბის მრეწველობისთვის და ამიტომ მის წინააღმდეგ გამოდიოდა. თუმცა ეს ასე არ არის.

გაზეთი Manchester Evening News აღნიშნავს, რომ 1806 წელს პილი ვერ იქნებოდა ამ კანონპროექტის გამოხმობის პეტიციის ავტორი, ხოლო მონობის აკრძალვის წინააღმდეგ კი გამოდიოდა მისი მამა, რომელსაც ასევე რობერტი ერქვა.

სიაში ვხვდებით სერ ფრენსის დრეიკსაც, მე-16 საუკუნის ზღვაოსანს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ესპანური დიდი არმადის განადგურებაში. ამავე სიაშია ადმირალ ნელსონის ქანდაკებაც.

ამასობაში, ლონდონში ძეგლების დემონტაჟი კვლავ გრძელდება — სამშაბათს ჩამოაგდეს მონებით მოვაჭრე იამაიკელი პლანტატორის **რობერტ მილიგანის** ძეგლიც. როგორც იტყობინებიან, ესეც საზოგადოების მოთხოვნით გაკეთდა.

რასიზმში ადანაშაულებენ სერ **უინსტონ ჩერჩილსაც,** რომლის ძეგლიც ლონდონში საპროტესტო გამოსვლების დროს საკმაოდ დაზიანდა. მართალია ლონდონის მერის მიერ შექმნილი კომისია ჩერჩილის ქანდაკებების დემონტაჟის შესახებ მსჯელობას არ აპირებს, მაგრამ მიმდინარე პროტესტების ფონზე ჩერჩილს მუდმივად და ბევრს აკრიტიკებენ.

**„ის, რა თქმა უნდა, ფიქრობდა, რომ თეთრი რასის ადამიანები სხვებზე მაღლა დგანან. ის ამას ამბობდა,** — აცხადებს ისტორიკოსი რიჩარდ ტოი, **— ის ცუდად მოიხსენიებდა ინდოელებს და საშინელი რწმენის მქონე საშინელ ადამიანებს უწოდებდა".**

ოქსფორდში კვლავ ითხოვენ მე-19 საუკუნეში სამხრეთ აფრიკაში ინგლისის კოლონიური ექსპანსიის ინიციატორის, ალმასის მომპოვებელი კომპანიის, De Beers-ის დამაარსებლის **სესილ როდსის** ქანდაკების ჩამოგდებას.

ოქსფორდის ორიელ-კოტეჯთან, რომლის ფასადზეც დგას როდსის ძეგლი, სამშაბათს რამდენიმე ათასმა ადამიანმა მარშით და შეძახილით „როდსი უნდა დაემხოს" ჩაიარა. პროტესტი მშვიდობიანი იყო და მას თვალს პოლიცია ადევნებდა.

როდსის ძეგლის დემონტაჟს ემხრობა ოქსფორდის საქალაქო საბჭოს 48 წევრიდან 26. ძეგლის დემონტაჟის მოთხოვნით ერთმა ინტერნეტ-პეტიციამ მეოთხედ მილიონზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის რექტორმა, ლორდმა კრის პეტენმა პროტესტანტების მოთხოვნას „ფარისევლური" უწოდა.

**„ცოტა არ იყოს, ფარისევლობაა როდსის ძეგლის ტემზაში გადაგდების მოთხოვნა იმ დროს, როცა ოქსფორდი ყოველწლიურად უფასოდ იღებს 100 სტუდენტს, საიდანაც მეხუთედი აფრიკიდან არის ჩამოსული".**

სესილ როდსის სახელს ატარებს რამდენიმე გრანტი და სტიპენდია, რომელიც ოქსფორდის უცხოელ სტუდენტებს ეძლევათ. სესილ როდსის ფართო საქველმოქმედო საქმიანობამ თავის დროზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულება მოიცვა.

პეტენმა დასძინა, რომ როდსთან დაკავშირებით იზიარებს ნელსონ მანდელას შეფასებას, როდესაც მან როდსს **„იმ ძალების ნაწილი უწოდა, რომელმაც სამხრეთი აფრიკა შექმნა ისეთი, როგორიც არის დღეს"**.

ოქსფორდის საქალაქო საბჭოს წევრმა შაისტა აზიზმა თქვა, რომ პეტენის განცხადება არის უტაქტო.

## ბელგია: მეფე ლეოპოლდ II

**რასიზმის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმეკვირიანი პროტესტის შემდეგ ჰოლანდიაში კვარცხლბეკიდან მოხსნეს მეფე ლეოპოლდ II-ის რამდენიმე ქანდაკება. მონარქი, რომელიც ბელგიას მე-19 საუკუნეში მართავდა, მდინარე კონგოს ველის დაპყრობით არის ცნობილი. მის დროს ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მკაცრი პოლიტიკა ტარდებოდა. ბელგიის კოლონიური პოლიტიკის მსხვერპლთა რაოდენობა 10 მილიონს აღწევს. სწორედ ლეოპოლდ II-ის დროს ითხოვდნენ, რომ დამსჯელი ოპერაციების შემდეგ ჯარისკაცებს მათ მიერ მოკლულთა ხელის მტევნები წარმოედგინათ.**

Black Lives Matter-ის პროტესტი მასშტაბური იყო ბელგიაშიც — გასული კვირის ბოლოს ბრიუსელის ქუჩებში ათი ათასი ადამიანი გამოვიდა. მათ ბელგიის მთავარი სასამართლოს, მართლმსაჯულების სასახლის წინ მოიყარეს თავი, რომლის მშენებლობაც სწორედ მეფე ლეოპოლდ II-მ დააფინანსა.

ანტვერპენში ლეოპოლდის ძეგლს ცეცხლი წაუკიდეს და ნახატებით „შეამკეს", მოგვიანებით ქალაქის ხელისუფლებამ ქანდაკება ჩამოხსნა და მუზეუმში გადაიტანა. ბრიუსელში მეფის ქანდაკებაზე დააწერეს სიტყვა „მკვლელი". საპროტესტო აქციების დროს მეფის კიდევ ერთი ძეგლი მოხატეს ქალაქ გენტში.

მეფე ლეოპოლდ II-ის ქანდაკების დემონტაჟს ბელგიაში მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, ისინი მეფეს საერთაშორისო ვაჭრობის დამფუძნებლად თვლიან, რომელმაც ქვეყანა გაამდიდრა.

ბელგიელები ხელმოწერების შეგროვებას აგრძელებენ და ქვეყანაში მეფის ყველა ძეგლის აღებას მოითხოვენ, ერთ-ერთ პეტიციას 70 ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი.

30 ივნისს კონგო დამოუკიდებლობის 60 წელს აღნიშნავს. პეტიციის ავტორებს სურთ, რომ ძეგლების აღება ამ თარიღამდე მოესწროს.

## აშშ: გენერალი ლი და ქრისტეფორე კოლუმბი

**აშშ-ში Black Lives Matter-ის აქტივისტები თანმიმდევრულად ებრძვიან 1860-იანი წლების სამოქალაქო ომის სამხრეთის შტატების გენერლებისა და ჯარისკაცების ძეგლებს.**

2017 წელს, შარლოტსვილში მომხდარი დაპირისპირების შემდეგ, რომელიც აშშ-ის რამდენიმე ქალაქზე გავრცელდა, კონფედერატთა ძეგლებს ნამდვილი ომი გამოუცხადეს. შედეგად, რამდენიმე ქალაქმა გადაწყვიტა, რომ სამხრეთ შტატების ისტორიასთან დაკავშირებული ყველა მემორიალის დემონტაჟი მოეხდინა.

2020 წლის საპროტესტო აქციების დროს, რომლებიც ჯორჯ ფლოიდის დაღუპვას უკავშირდებოდა, აქტივისტებმა მიზანში იგივე ფიგურები ამოიღეს. მთავარ სამიზნედ იქცა მონათმფლობელისა და სამხრეთელი გენერლის რობერტ ლის ქანდაკება. მანამდე, 2017 წელს პროტესტანტებმა ძეგლს სახე დაუმსხვრიეს.

ახლახან აქტივისტებმა ვირჯინიის შტატში 1890 წელს დადგმული გენერალ ლის 12-ტონიანი ქანდაკების დემონტაჟს მიაღწიეს. **„ჩვენ აღარ ვიქადაგებთ ისტორიის ყალბ ვერსიას",** — თქვა შტატის გუბერნატორმა, როდესაც ძეგლის დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება გააჟღერა.

კონფედერატების, როგორც კონკრეტული ისტორიული ფიგურების ქანდაკებების, ასევე დაღუპული ჯარისკაცების მემორიალების დემონტაჟი აშშ-ის ბევრმა ქალაქმა გადაწყვიტა.

სამშაბათს აიღეს და სატვირთო ავტომობილით გაიტანეს დაღუპულ ჯარისკაცთა ძეგლი ქალაქ ჯექსონვილიდან (ფლორიდა), ხოლო ქალაქის მერმა, რესპუბლიკელმა ლენი კერიმ მოწოდება გაავრცელა, რომ აღებულ იქნეს კონფედერაციასთან დაკავშირებული ყველა მონუმენტი.

აშშ-ის კონგრესში დემოკრატები ამზადებენ კანონპროექტს კონგრესის შენობაში არებული კონფედერატთა ძეგლების დემონტაჟის შესახებ.

პარალელურად, სანქცირებული დემონტაჟით პროტესტანტები აშშ-ის ზოგიერთ ქალაქში ძეგლების ნგრევას აგრძელებენ.

ვირჯინიის შტატის ქალაქ რიჩმონდში ოთხშაბათს ღამით საღებავები შეასხეს, დაწვეს და მდინარეში გადააგდეს ქრისტეფორე კოლუმბის ქანდაკება, რომელიც სანაპიროზე იდგა.

კოლუმბის ძეგლს ბოსტონში თავი მოაძვრეს. პოლიცია გამოძიებას აწარმოებს.

**მოამზადა
ნიკა ასლანიძემ**

# ამას არავინ მოელოდა!




**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ რამდენიმე დღის წინათ მთავრობის სხდომაზე განაცხადა: „ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველომ დაამარცხა „კოვიდ-19" ინფექცია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ ვირუსის დამარცხება იზოლირებულად, რომელიმე ერთ ქვეყანაში შეუძლებელია და წინასწარ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. რა მოხდება მომავალში მსოფლიოში, ჯერ კიდევ ზუსტად არავინ არ იცის" — აღნიშნა მან. მიუხედავად ამისა, ის რეალობა, რაც გვაქვს საქართველოში დღევანდელი დღით (15ივნისი), ერთი ან ორი თვის წინათ ძნელი წარმოსადგენი იყო. კერძოდ „კოვიდ-19" ინფექციის გავრცელება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად შეზღუდულია და დასტურდება მხოლოდ ერთეული შემთხვევები. ამასთან ერთად ქვეყანაში „კოვიდ-19"-ით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი თვალში საცემად ძალიან დაბალია.**

მიუხედავად ამისა, ოპოზიცია და ცალკეული ვაი-პოლიტიკოსები პერმანენტულად ცდილობენ, დააკნინონ, გააფერმკთალონ ქვეყნის ეს წარმატება და ხშირად იმეორებენ, რომ ეს გასაკვირი არ არის, რომ მსგავსი ხასიათის მონაცემები, თურმე, სხვა ქვეყნებსაც აქვთ. მათ გასაგონად უნდა ვთქვა, რომ ასეთი სახის შედარება აბსოლუტურად არასწორია, ხოლო მართლა გასაკვირი და გასაოცარი ის არის, რომ ერთ განსაზღვრულ რეგიონში — კავკასიაში, სადაც საქართველოში „კოვიდ-19"-თან დაკავშირებული ვითარება დიამეტრალურად განსხვავდება ამავე რეგიონის მეზობელ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, რუსეთი) არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, სადაც „კოვიდ-ინფექცია" ისევ მძვინვარებს, ადგილი აქვს მოსახლეობის ინფიცირების ასობით ახალ შემთხვევებს და რაც მთავარია, მოსახლეობის სიკვდილიანობა ისევ მაღალი რჩება ( ეს მონაცემები ყველასათვის ხელმისაწვდომია).

გეოგრაფიულად საქართველო, რომელსაც უშუალო სახმელეთო საზღვარი აქვს რეგიონის ამ ქვეყნებთან, შეიძლება ითქვას, როგორც „ოაზისი" ისე გამოიყურება ინფექციის ეპიცენტრში, რაც ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით მაღალი რისკის შემცველია, და მიუხედავად ამისა, ევროპაში ქვეყანა მონდომებით ემზადება ტურისტული სეზონისათვის, რაც ჯერჯერობით შვეიცარიამაც კი ვერ შეძლო.

„კოვიდ-19"-ის პანდემია მსოფლიო მნიშვნელობის ტრაგედიაა, რომელმაც დააზიანა დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტი, ასიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ეს პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მეტად საგულისხმოა, რომ ამ ინფექციასთან ბრძოლის საქმეში საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, რომლის შესახებაც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს წარმატება ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში კიდევ ერთი ნათელი ფურცელი იქნება, როგორც ქართული სახელმწიფოს ექსტრემალურ სიტუაციაში ეფექტური, გამართული მოქმედების ნიმუში, რომლის ძირითადი შემომქმედნი არიან ბრწყინვალე ქართველი მედიკოსები, ქვეყნის მთავრობა და მმართველი პარტიის ლიდერი, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი.



**ბონდო ქობულია,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

# ღმერთო, შეაყვარე ქართველებს ერთმანეთი!



## ფიქრები ადამიანურობაზე...

**„ადამიანებო, იყავით ადამიანურნი, ეს თქვენი პირველი მოვალეობაა!" ასე მოუწოდებდა მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი განმანათლებელი, დიდი პედაგოგი ჟან ჟაკ რუსო ადამიანებს. ეს მეთვრამეტე საუკუნე იყო, მაგრამ არა მგონია, რომ ოდესმე დაკარგოს ამ მოწოდებამ თავისი ძალა და შინაარსი. იგივეს ამბობდა ჩვენი კოლორიტული პოეტი მამია გურიელი — „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი"... სამწუხაროდ, ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოში ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია.**

რა ხდება დღეს ამერიკაში? ის ხომ დემოკრატიული წყობილების სამაგალითო ქვეყანაა, სადაც ერთი ადამიანი მეორეს კი არ ემორჩილება, არამედ მხოლოდ სამართალს და კანონს, სადაც პატივს სცემენ ქონების, უფლებების, თავისუფლებისა და რწმენის შესახებ არსებულ კანონმდებლობებს. დღეს კი კორონავირუსით დაჩაგრულებს საშინელი აგრესია მორევიათ და ყველა ის პროგრესი და უპირატესობა, რაც მათ სხვა ქვეყნებთან შედარებით ცხადად ჰქონდათ, დავიწყნიათ, თითქოს ბრბოდ ქცეულან, კორონავირუსი თითქოს არც არსებულა, აირივნენ, დაირივნენ და დიდ მატერიალურ ზიანს აყენებენ თავიანთ სამშობლოს. თუმცა, ვინ იცის, იქნებ პირიქითაც არის და რასაც აპროტესტებენ (პოლიციელის მიერ მოკლული ფერადკანიანი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას), ყველაფერზე მაღლა დგას? მაგრამ ეს როგორი პროტესტია: მსხვრევა, ნგრევა, ცეცხლი...

მე იმის მომხრე ვარ, რომ ყველგან და ყველაფერში მძლავრობდეს ადამიანურობის ფენომენი! ამ იდეით, სიამოვნებით შევახსენებდი ყველას, უპირველეს ყოვლისა კი, ჩემს ქართველ თანამოძმეებს — ვიყოთ ადამიანურები, რაც ნიშნავს ერთმანეთის მიმართ კეთილმოსურნეობას, თავაზიანობას, კულტურულ დამოკიდებულებას. შეიძლება ადამიანი ამ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების გარეშე ადამიანი იყოს? მაგრამ არის! არის და ბევრიც, უფრო მეტი ვიდრე ადამიანური თვისებების მქონენი... რატომ და რისთვის? ამ სიღრმეებში შესვლა არ არის ჩემი მიზანი. ყველაფერი ადამიანის ხასიათზეა დამოკიდებული, ხასიათი კი, უპირველეს ყოვლისა, გენეტიკიდან მომდინარეობს და ეს გენეტიკაც, სოციალური გარემოს გარეშე, ვერაფერს გახდება (ხომ გვახსოვს მგლების მიერ ბრინჯის ყანებიდან გატაცებული ბავშვების ბედი...) და ეს სოციალური გარემოც თუ არ არის აქტიურად და ორგანიზებულად ზემოქმედი (სკოლა, ოჯახი, სოციუმი), გენეტიკაც კარგავს თავის ფუნქციას.

ჩვენს ცხოვრებაში წამოჭრილმა ბევრმა სამწუხარო რეალობამ (უკვე კონკრეტულზე გადავდივარ და საქართველოზე ვსაუბრობ), ადამიანურობაზე ფიქრები კვლავ ალმიძრა. არ მინდა, გავიხსენო ის ყოფითი სურათები, რაც ჩემი ცხოვრების მანძილზე მინახავს და, რასაც საოცრად დავუთრგუნივარ. მაგრამ გახსენება რად გინდა, ასეთი უკულმართული სურათები დღესაც ძალიან ხშირად გვხვდება. რა ვქნათ, ასე ყოფილა საუკუნეების მანძილზე: ადამიანი — მხოლოდ სხეულით და კუჭით და ადამიანი — სხეულთან ერთად მშვენიერი სულით.. ამ ორგვარ, სულიერი და ფსიქოლოგიური წყობით სრულიად განსხვავებულ ადამიანებს ერთად, ერთ ქვეყანაში ცხოვრება უწევთ. გამოსავალი ჯერაც ვერ გვიპოვია. როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, ერთი კერძო შემთხვევა მიდგას თვალწინ, რომლის გარჩევა ნამდვილად არ ღირს, მაგრამ ზოგადად ასეა: ერთი აკეთებს, შრომობს და სხვა, ყოველგვარი მადლიერების გარეშე მოიხმარს. მადლიერება კი არა, პირიქით, უკვირს, რა მაქვს სამადლობელიო.. ასეა და არც უნდა გაიკვირვო, რადგანაც „ადამიანები, რომელთაც მეტად ბევრი ხინჯი აქვთ, უწინარეს ყოვლისა, მათ სხვებში ამჩნევენ" (ფრენსის ბეკონი). რას იზამ, ოღრო-ჩოღროა ჩვენი ცხოვრება. ბევრ რამეს მოაქვს უსიამოვნება, სულიერი და მატერიალური ზარალიც კი.

ჩვენი პარლამენტის, ამ საკანონმდებლო ორგანოს სხდომების მომსმენი და შემყურე ადამიანი არა მგონია ადამიანურობის კარგ მაგალითს იღებდეს იქიდან. როგორ აბრალებენ ერთმანეთს ამა თუ იმ უკეთურობას. „ბატონო „N", თქვენ არამზადა ხართ, სისხლისმსმელი, ჯალათი!" როგორია? შეურაცხყოფა, შეურაცხყოფა, შეურაცხყოფა... და ამის შემყურე შენც შეურაცხყოფილი ხარ, დაბნეული. რა ხდება? მსჯელობის, პოლიტიკური დისკუსიის, ქვეყნის სამომავლო, საკეთილდღეო მოსაზრებების ნაცვლად პარლამენტის წევრები ყოველგვარ ზრდილობას მოკლებული რეპლიკებით თავს ესხმიან ერთმანეთს. ხალხს ასეირებენ. მტერს ახარებენ.

სულ ცოტა ხნის წინათ ყველამ მოვისმინეთ ქვეყნის პრემიერის საქმიანი და საინტერესო ანგარიში პარლამენტიდან. და ტელევიზიითაც დავინახეთ როგორი სულისკვეთება სუფევდა დარბაზში. მობოიკოტე ოპოზიციონერებიც იქ ისხდნენ და რომ გვეგონა აი ახლა, აი ახლა წამოიწყებენ „არევასო", ასე არ მოხდა (ვერ მოახერხეს)! „არევის" მოსალოდნელ წუთებში ბატონი გახარია ისე დიპლომატიურად, ისეთი რბილი იუმორით გადაუხვევდა, მთელ დარბაზს ღიმილსაც მოჰგვრიდა, სათქმელს კი გეგმაზომიერად აგრძელებდა, ლამაზადაც და დამაჯერებლადაც, რითიც დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა მოყვრებსა და საქართველოს ერთგულ შვილებს შორის... მტრისა კი რა მოგახსენოთ. მაგრამ, ნუთუ ოპოზიცია მტერია? რატომ არიან ასეთი რადიკალურები? მათი დაჟინებული მოთხოვნით მეორედაც მოიწვიეს პრემიერი პარლამენტში. არ დაიზარა პრემიერმა, მთელი ათი საათი პასუხობდა მათ კითხვებს და მოხერხებულად თავს არიდებდა ოპოზიციონერთა აგრესიას.

რა თქმა უნდა, ქვეყნის მოკეთე ოპოზიციამ მმართველ პარტიას უნდა მოუნახოს შეცდომა (უშეცდომო ვინ არის), შეცდომების გამომჟღავნება სარწმუნო არგუმენტებით, — ეს არის ოპოზიციის ვალი, თორემ რა გამოდის: რადიკალების ქცევა საზოგადოებას აბნევს... დიახ, ისიც ვიცით, რომ ხელისუფლება ვალდებულია, შექმნას სამართლიანი გარემო და ხელი შეუწყოს ხალხის სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას, მაგრამ ეს ვერ მოხდება ჩვენი ქვეყნის მეტისმეტად აგრესიული ოპოზიციონერებთან ურთიერთობაში, უფრო სწორად, — ომში. მათი ქმედება ნიშნავს პოლიტიკური თვითშეგნების დაბალ დონეს საერთოდ და რა ქნას ხალხმა, როგორ მოვითხოვოთ მათგან (ხალხისგან) მაღალი სამოქალაქო ცნობიერება, როდესაც ამ ცნობიერების განვითარება-ამაღლებისთვის არავინ ზრუნავს. სწორედ ამ უკანასკნელის უქონლობამ გამოიწვია ჩემი პროტესტი და დამაწერინა ეს წერილი. უმადურობა ცუდი რამ კი არა, სიჩლუნგეა, ადამიანურობისაგან შორს დგას! და თუ კი ადამიანური რამ მოხდება საქართველოში, სად უნდა ითქვას თუ არა პარლამენტიდან? კი, ალბათ ამ იშვიათ და საგანგებო მოვლენაზე მომავალში შეიქმნება ხელოვნება, დაიწერება ლიტერატურა, დაიდგმება სპექტაკლები, მაგრამ მანამ, სანამ ეს მოხდება, განა პარლამენტიდან არ უნდა უთხრან ხალხს, როგორ მიაღწიეს ჩვენმა მედიკოსებმა და მთავრობამ ერთად კორონავირუსთან ბრძოლის ასეთ შედეგებს, რაც მსოფლიომაც კარგად დაინახა, როგორ მოახდინეს ასეთი ორგანიზება ყველაფრის, რაც წინ აღუდგებოდა პანდემიის სწრაფ განვითარებას, როგორ დაიცვეს ჩვენი მოსახლეობა და როგორ ჩამოიყვანეს ასეულობით ემიგრანტი და განათავსეს წინასწარ მომზადებულ სასტუმროებში (კარანტინი), მათი (ორგანიზატორების) შემყურე, როგორი მიმნდობი, მორჩილი და მომსმენი გახდა ხალხი. სად უნდა თქმულიყო ყოველივე ეს, თუ არა პარლამენტში, თუნდაც ტელეარხებზე (აგერ-ეგერ კი, საუბრობენ...).

და განა ტაში და დიდი მადლობა არ ეკუთვნოდა პირადად პარლამენტიდან მედიცინის ნიჭიერ წარმომადგენელთა და მთვრობის ამ დიდ კავშირს, რომელიც სწრაფად შეიქმნა ქართველი ხალხის გადასარჩენად? ეს ნამდვილად სამაგალითო და სასახელო ამბავი მხოლოდ ამბავი როდია, დიდი რამ არის ხალხისთვის, ქვეყნისთვის. იმედის მომცემია მათი თავგანწირვა და გმირობა. იმედმოცემული ხალხი კი სულ სხვა ძალაა.. დღეს კი რომელ იმედზეა ლაპარაკი, როდესაც ქართული ცისფერი სამყაროს თითქმის ყველა არხი ქვეყანაში განხორციელებულ დიდ და სასიკეთო საქმეებზე, მაგალითად ქუთაისის ახალ, ევროპული მოდელის, საერთაშორისო მნიშვნელობის უნივერსიტეტზე, ან წყალტუბოსა და აბასთუმნის მართლაც რომ დიად მშენებლობებზე კი არ საუბრობს, არამედ პირიქით — „ჩამოქცეულ და გაღარიბებულ" საქართველოს სურათებს „აშუქებს". ყოველივე ეს მართალია თუ ტყუილია, როგორ და სად უნდა არკვიოს უცნაური პანდემიით ისედაც დათრგუნვილმა ხალხმა.

კორონავირუსი, ადამიანის ეს ველური მტერი, კვლავ მძვინვარებს თითქმის მთელ პლანეტაზე, მისი დამორჩილება ჯერჯერობით შეუძლებელია, ვინ იცის, რამდენ ხანს მოგვიწევს მასთან კოჰაბიტაციაში ყოფნა. თითქოს ჩვენი ადამიანურობის საცდელი მოგვივლინა ბუნებამ. ვფიქრობ, რომ გამარჯვებისთვის მეტი ადამიანურობაა საჭირო.



**გულნარა სტურუა**

ჩემპიონი

# ტიტულებისთვის დაბადებული




**ეთერ ლიპარტელიანის სახელი უკვე ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სპორტის მატიანეში. დიახ, პირველს ქართველ ქალთაგან, სწორედ ამ კაფანდარა ლენტეხელ გოგონას ხვდა წილად პატივი ძიუდოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ტიტულები მოეპოვებინა.**

დაგვეთანხმებით, ასეთ თვითნაბად ტალანტს ხელისგულზე უნდა ვატარებდეთ, მაგრამ, ჰოი საკვირველებავ: სოციალურ ქსელში რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული პოსტიდან შევიტყვეთ, რომ მშობლიურ რაიონში პანდემიის პერიოდში ჩასულ ქვეყნის საამაყო შვილს რეგიონის ხელისუფალთაგან არავინ შეხმიანებია (თანაც – 3 თვის განმავლობაში!). ტატამის მიღწევების მილოცვაზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

ბუნებრივია, ჩინოსანთა უმადურობამ აღგვაშფოთა და ვითარებაში გარკვევა ჩვენს ახალგაზრდა კოლეგა **ნეტო ბენდელიანს** ვთხოვეთ, რომელიც ოპერატიულად დაუკავშირდა გულგატეხილ ჩემპიონს და ვფიქრობთ, მასთან საინტერესო საუბარი ჩაიწერა (რასაკვირველია, არამარტო აღნიშნულ საკითხზე).

– სამი თვის განმავლობაში ძალიან ბევრმა მნახა, მათ შორის ცაგერელმა ჟურნალისტმა მარინე სვანიძემ, რომელმაც ჩემგან ორჯერ აიღო ინტერვიუ, მაგრამ ადგილობრივმა ოფიციოზმა ვერაფერი გაიგო და ამიტომაც დამწყდა გული. მეტიც – როცა უკმაყოფილება გამოვთქვი, იქაურმა საჯარო მოხელეებმა ეს ამპარტავნობაში ჩამითვალეს, თუმცა, სხვები ყველანი გვერდში დამიდგნენ. მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს გამხნევებისთვის.

**– როგორ გამოიჭედა თქვენი ტრიუმფი, მით უმეტეს სპორტის ისეთ სახეობაში, რომელიც სუსტი სქესისთვის ცოტა უხერხულად გამოიყურება?!**

– კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე მისასვლელი გზა მართლაც გრძელი და რთული იყო, მაგრამ




მწვრთნელებთან და თანაგუნდელებთან ერთად ყველაფერი გავიღეთ, ტიტანური შრომა ჩავდეთ და დაგვიფასდა კიდეც. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, მართალი ბრძანდებით – ასეთი შეხედულების ავტორებს სრული საფუძველი გააჩნიათ მსგავსი პოზიციის გამოსახატავად, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ გავიმარტივოთ ძიუდოს სირთულეები და საჩვენოდ გავითავისოთ.

**– ავტორიტეტულმა გამოცემა JUDOINSIDE-მა ხუთ საუკეთესო თეთრკიმონოანს შორის დაგასახელა. რა მოგცათ ამ აღიარებამ?**

– რა თქმა უნდა, ძალიან დიდი სტიმული და მოტივაცია. ისე, საკუთარი შესაძლებლობების აქამდეც მჯეროდა, მაგრამ როცა მივხვდი, რომ ჩემი სხვებმაც ირწმუნეს, საკუთარი პოტენციალი გაორმაგებულად შევიცანი.

**– როგორ უმკლავდებოდით პანდემიას და, საერთოდ, რას გვეტყვით ფორსმაჟორული ვითარებისთვის დამახასიათებელ საწვრთნელ პროცესზე?**

– ზოგი ჭირი მარგებელიასი არ იყოს, იძულებითი შესვენება ძალიან წამადგა, რადგან მაშინ, როცა ბევრი ვერ ახერხებდა ვარჯიშს, ჩემს მეგობარ ლევან გუგუნავასთან ერთად მე სვანეთის ზღაპრული ტყის სუფთა ჰაერზე ყოველდღე ვღვრიდი ოფლს, თანაც – ორჯერ.

**– გულშემატკივარს დააინტერესებს, ვის უნდა ვუმადლოდეთ თქვენს „აღმოჩენას“? და კიდევ, თუ გრჩებათ დრო სწავლისა და ჰობისათვის?**

– ათი წლის ასაკიდან ვვარჯიშობ კახა მოცრაძესთან, რომელიც ყველანაირად გვერდში მიდგას და ჩვენთვის მამასავით ზრუნავს. მისი დიდი დამსახურებაა, მსოფლიოში მოწინავეთა შორის რომ ვართ. სწორად აღნიშნეთ – ძალიან დატვირთული გრაფიკი მაქვს, მაგრამ სპორტის უნივერსიტეტის მესვეურთა ხელშეწყობით დასახელებულ უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღებასაც ვახერხებ. სხვათა შორის, იშვიათ თავისუფალ დროს პერსპექტიულ მწვრთნელ ავთო ქურასბედიანის მეთვალყურეობით ჰობის – კლდეზე ცოცვის დაკმაყოფილებასაც ვასწრებ.



**– და ბოლოს, მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია...**

– ვცდილობ, კარგად მოვემზადო და ოპტიმალური კონდიციებით წარვსდგე ტოკიოს ტატამზე. ვეცდები, იაპონიის დედაქალაქში ჩემი მაქსიმუმი გამოვავლინო და სამშობლოში ოლიმპიური ოქროთი დავბრუნდე!






**ესაუბრა**
**ნეტო ბენდელიანი**

## სათრევლები გადასათრევებზე

### ზღაპარს მამლის ბოლო უჩანს!

**„სააკაშვილის მიერ უცხოეთში განხორციელებული ქველმოქმედება არასდროს გახმაურებულა!"— საზოგადოებრივ ქსელში თავიანთ ფიურერზე მორიგი „იხვი" გაუშვეს ნაცებმა.**

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
საზღვარგარეთ საცა იყო,
მიხო ქველი გამხდარიყო,
თუმცა ფული აღარ ეყო
და ის თურმე ქუჩა-ქუჩა,
ლექციებით მოაქუჩა!
„რა ატამი, რი ატამი"
მამალს ბოლო მაინც უჩანს?"

### პანდემიური გოგლი-მოგლი

**ქოსატყუილა ვაშაძეს ბაყაყის სინდრომი სჭირს, მხოლოდ იმ მშენებლობებს ხედავს, რომლებიც პანდემიის გამო დროებით შეჩერებულია...**



წყალტუბოდან ქუთაისში მომავალო გოგი,
საღორიას რად არ სტუმრობ ძველი დემაგოგი?
აშენებულს ნახავ იქ და სულ სხვა გრძნობას მოგგვრის
ღორულ სათქვლეფს შერეული შენი გოგლი-მოგლი!

### გიჟს ნუ მივუშვებთ ნებასა!

ვინც დაგვემუქრა, გვებაზრა
თუკი მივუშვით ნებასა,
ნაჩვევი ბოროტებასა,
მტკვარს სისხლით შეგვიღებავსა!

### კრემატიკული კანტორა

სულგაყიდულმა პროვოკატორმა
კიევის ცენტრში გახსნა კანტორა
და იქ ლაყბობენ ბიძა-დისშვილი,
როგორ დაამხონ ივანიშვილი!

### საიდუმლო სერობა

რა სერობა გაუმართავთ ორ პირბნელს და პირშავს,
ქართველ ხალხთან არამართალ თემურის და მიშას?
სურთ იმიერ-ამიერი, თუნდაც ვაი-ვიშად,
ვუსმენდით და მივხვდით, ერი მათთვის რასაც ნიშნავს!
თუმცა ჟამი ზერთულია, არის მეტად მძიმე,
ორივე რომ სეთურია, კიდევ ეჭვობს ვინმე?




### ამბავი მარადიული ეფრეიტორისა

დალის ხეობა ვინც გაყიდა, იქცა კინტოდ და
13 სენატორს მოაჩვენა თავი რიტორად,
ბიძა კაგებეს პოლკოვნიკი რომ ჰყავს, მიტომაც
ცხადია, დარჩა ლეგიონში ეფრეიტორად?

### სისხლი სისხლის წილ!

ყურში ჩამესმის უკვე ერის ხმა
და ცხადად ვხედავ, ვის რა ელის ხვალ,
მიხო იგემებს ისეთ შერისხვას,
ვით ეიხმანი ისრაელისას!
ამას მოითხოვს შარაძის სისხლი,
ამოწყვეტილი ოჯახის სისხლი
და იმ ალალი ბიჭების სისხლი,
მსხვერპლნი რომ გახდნენ სატანურ რისხვის!

### კვერცხი თუ დედალი?

რატომ დავობენ, ნეტავი,
ვისგან რა გასაბჭობია,
ოქტომბრის თვეში დედალი
ივნისის კვერცხს რომ სჯობია?

### ნაცებსა და მათ განშტოებებს

„მთავარიდან" გახედვით და
მიხოსაგან გახედვნითა,
ჭორის ხელზე დახვევით და
არაერთი თავხედითა,
ხან სენატორს „იმოწმებთ", ხან
ლაყბობთ ხალხის სახელითა,
სისხლისმსმელი თქვენი „ხვითო"
გადაგვარჩენს ყველას ვითომ!
**ამაოა ანაჩემი:**
**არ ხართ ვინმეს გადამრჩენი,**
**რადგან ისევ ანდობთ ბილწ სულს**
**კაგებეშჩიკ ბიძა-დისწულს!..**



**ალექსანდრე შენგელია**

## სანთელი

**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიკის ფაკულტეტის 803 ჯგუფის 1964 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჯგუფელი მეგობარი, სტუ-ს პროფესორი, ღირსეული პიროვნება**

# ომარ ლომკაცი

**და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

**გივი აბდუშელიშვილი, მედიკო ანდღულაძე,**
**დოდო გამყრელიძე, გურამ გამყრელიძე, ვანო გორგიძე,**
**ლადო კაკაბაძე, თინა მარხვაშვილი, ლენა პირველაშვილი,**
**ვალერი სანდოძე, მაყვალა ტორონჯაძე, ლევან რთველაძე,**
**დიმა ცისკარიძე, თემურ ჩხატარაშვილი,**
**ნუგზარ ჩაჩხიანი, ომარ ხორგუანი**

## კორონავირუსის კავკასიური საგა




**სომხეთი — 18 033, აზერბაიჯანი — 10 662, საქართველო — 888 — კავკასიის რეგიონში თითქოსდა დამარცხებული „ჩინური ვირუსი" კვლავ მძინვარებს.**

საქართველოს მსგავსად, ქვეყნის მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში ახალი შემთხვევების რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს. როგორც „worldometers"-ის სტატისტიკიდან ირკვევა, რეგიონში ინფიცირებულთა რაოდენობით, კვლავ სომხეთი ლიდერობს. იქ გასულ დღე-ღამეში ვირუსის ახალი — 544 შემთხვევა დაფიქსირდა. დაინფიცირებულთა საერთო რაოდენობა 18 033-მდე გაიზარდა. ქვეყანაში გარდაცვლილია 302 ადამიანი, ხოლო 6 814 გამოჯანმრთელდა.

ინფიცირებულთა რაოდენობით რეგიონში რიგით მეორე ანტირეკორდსმენი აზერბაიჯანია.

სტატისტიკის მიხედვით, იქ ინფიცირებულთა რაოდენობამ 338-ით მოიმატა და საერთო რაოდენობა 10 662-მდე გაიზარდა. ქვეყანაში გარდაცლილია 126 ადამიანი, ხოლო ინფიცირებულთაგან 5 948 უკვე გამოჯანმრთელდა.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის რეგიონში ვირუსის გავრცელების დღიდან დღემდე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კვლავ საქართველოში ფიქსირდება. დღევანდელი მოცემულობით, აქ გამოვლენილია ინფიცირების 888 შემთხვევა, რომელთაგან 14 გარდაიცვალა, ხოლო 731 ადამიანი უკვე გამოჯანმრთელდა.

## სადეზინფექციო გვირაბი პუტინისთვის




**რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ნოვო-ოგარევოს რეზიდენციაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სპეციალური სადეზინფექციო გვირაბი მოეწყო.**

რუსული მედიის ცნობით, ვლადიმერ პუტინის რეზიდენციის შესასვლელში ვიზიტორს აღნიშნული გვირაბის გავლა მოუწევს, რა დროსაც მისი ტანსაცმელი და სხეულის ღია ნაწილები სადეზინფექციო სითხით დაიფარება.

როგორც აპრილში რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, ყველას, ვისაც ვლადიმერ პუტინი ხვდება, „კოვიდ-19"-ზე ტესტი უტარდება. პესკოვის თქმით, პრეზიდენტს სრულად არ გაუუქმებია პირადი კონტაქტები, თუმცა მინიმუმამდე დაიყვანა მათი რაოდენობა და შეხვედრების დროს სოციალურ დისტანციას იცავს. კორონავირუსის შემთხვევების რაოდენობით, რუსეთი მსოფლიოში მესამე ადგილზეა, აშშ-ისა და ბრაზილიის შემდეგ.

## ვირუსით კიდევ ერთი პრეზიდენტი დაავადდა



**ჰონდურასის პრეზიდენტს ხუან ორლანდო ერნანდესს კორონავირუსი დაუდასტურდა. შესაბამის ინფორმაციას ჰონდურასის პრეზიდენტი თავად ადასტურებს. „კოვიდ-19"-ით ინფიცირებულია მისი მეუღლეც.**

როგორც ხუან ერნანდესმა სპეციალური მიმართვისას განაცხადა, მან თავი შეუძლოდ გასული კვირის ბოლოს იგრძნო.

ჰონდურასის პრეზიდენტი აცხადებს, რომ მას კორონავირუსის მსუბუქი სიმპტომები აქვს. მისი თქმით, საკმარისი ენერგია აქვს მუშაობის გასაგრძელებლად.

## ევროკავშირში ავტომობილების გაყიდვა განახევრდა



**ევროკავშირის საავტომობილო ბაზარზე კორონავირუსის უარყოფითი გავლენა იზრდება. მაისში ევროკავშირში მხოლოდ 581 161 ახალი ავტომობილი გაიყიდა.**

ევროპელ ავტომწარმოებელთა ასოციაციის მონაცემებით, ეს გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 52,3%-ით ნაკლებია. ყველაზე მეტად ავტომობილების გაყიდვა ესპანეთში (-72,7%), საფრანგეთში (-50,3%), იტალიასა (-49,6%) და გერმანიაში (-49,5%) შემცირდა.

2020 წლის პირველი ხუთი თვის მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს 41,5%-ით ჩამოუვარდება.

# საჰაერო ბურთი რიყის პარკში



**თბილისს კიდევ ერთი ახალი, უნიკალური გასართობი, ტურისტული ატრაქციონი შეემატება. რიყის პარკში მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, დედაქალაქის უნიკალური ხედები საჰაერო ბურთიდან იხილონ. პროექტს შ.პ.ს „ატრაქციონი“ ფრანგ პარტნიორებთან ერთად ახორციელებს. კომპანიის მფლობელი დავით კოპაძე „კომერსანტთან“ საუბარში აცხადებს, რომ საჰაერო ბურთი 10-სართულიანი შენობის სიდიდის იქნება, ხოლო ფრენის უმაღლესი წერტილიდან 45-სართულიანი შენობის სიმაღლეს გაუტოლდება.**

მისი განმარტებით საჰაერო ბურთის დანახვა 20 კილომეტრის მანძილზე იქნება შესაძლებელი. პროექტის ღირებულება 4 500 000 ლარია. პროექტი თბილისის მერიასთან უკვე შეთანხმებულია, ახლა პირველი საჰაერო ბურთის სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს.

**„საქართველოში ამ ატრაქციონის შემოტანა საქორწინო მოგზაურობისას გადავწყვიტეთ. მე და ჩემი მეუღლე ორლანდოში ჩავედით „დისნეი ლენდში“ და სწორედ იქ ვნახეთ პირველად უზარმაზარი საჰაერო ბურთი, რომელმაც დაუვიწყარი შთაბეჭდილება და ემოციები დაგვიტოვა. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა კარგად ვიცნობთ საჰაერო ბურთებს, რომლებიც ჰაერის გაცხელების სისტემით დაფრინავენ, თუმცა ჩვენი ატრაქციონი სრულიად განსხვავებულია. გათბობის სისტემის ნაცვლად გამოიყენება ჰელიუმი, რომელითაც ივსება საჰაერო ბურთი და ამასთან, უზრუნველყოფს 100%-იან უსაფრთხოებას, უფრო მეტიც, საჰაერო ბურთი იფრენს არა თავისუფალი ტრაექტორიით, არამედ ვერტიკალურად 150 მეტრის სიმაღლეზე. 10-სართულიანი შენობის ზომის საჰაერო ბურთი ნამდვილად შთამბეჭდავი იქნება ყველასათვის“** – აცხადებს დავით კოპაძე.

თბილისში პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთი საჰაერო ბურთის გაშვება იგეგმება, თუმცა კომპანია მომავალი წლიდან საქართველოს სხვა ქალაქებში ოპერირებასაც განიხილავს. როგორც კოპაძე განმარტავს, ატრაქციონს აღჭურვილობით ცნობილი ფრანგული კომპანია „Aerophile“ უზრუნველყოფს. შ.პ.ს „ატრაქციონის“ მფლობელი აცხადებს, რომ ფრენის ხანგრძლივობა 15 წუთია. აღსანიშნავია, რომ საჰაერო ბურთით ფრენის მსურველებზე ასაკობრივი შეზღუდვა არ იქნება. ბავშვებს ატრაქციონით სარგებლობა შეეძლებათ მშობლების თანხლებით. რაც შეეხება საფასო ღირებულებას, როგორც დავით კოპაძე აცხადებს საქართველოს მოქალაქეებისათვის ფასი 35 ლარი იქნება, ხოლო ტურისტებისთვის – 50 ლარი. გონდოლაში 30 ადამიანის განთავსებაა შესაძლებელი.

**ბაჩო ადამია**

# ქართული ღვინო იაპონურ კომიქსში

**პოპულარულ იაპონურ კომიქსში (იგივე მანგა), სახელწოდებით „რამენ საიუკი“, ერთ-ერთი ეპიზოდი ქართულ ღვინოს მიეძღვნა.**

კომიქსის გმირები აღნიშნავენ, რომ ღვინო საქართველოში დაიბადა, ხოლო ქართულმა ქარვისფერმა ღვინომ მსოფლიოში ახალ ტენდენციებს დაუდო საფუძველი.



ამავე დროს, ქართული ქარვისფერი ღვინო, თეთრი ან წითელი ღვინისგან განსხვავებით, აზიურ სამზარეულოსაც საუკეთესოდ შეეხამება.

# აია სოფიას მეჩეთად გადააკეთებენ?

**თურქეთის იუსტიციის მინისტრი აბდულჰამით გიული მომხრეა, რომ აია სოფია, რომელიც დღეს მუზეუმის სტატუსს ატარებს, ისევ მეჩეთად გადაკეთდეს.**

თურქულ სააგენტო Anadolu-თან საუბარში მან თქვა, რომ მუსულმანური ლოცვისთვის ტაძრის გახსნა იყო „ჩვენი საერთო სურვილი, ეს იყო სულთან მეჰმედის სურვილი“ (რომელმაც დაიპყრო კონსტანტინოპოლი).

მინისტრმა განმარტა, რომ აია სოფიას ბედი ივლისის დასაწყისში გაირკვევა, რადგანაც საკითხს ქვეყნის სახელმწიფო საბჭო განიხილავს. მანვე აღნიშნა, რომ სხვა სახელმწიფოებს არ აქვთ უფლება, რომ თურქეთს უკარნახონ თუ როგორ მოიქცნენ აია სოფიასთან მიმართებაში.

29 მაისს კონსტანტინოპოლის დაცემის წლისთავზე, აია სოფიაში ყურანის კითხვა გაიმართა. ერთი კვირის შემდეგ, კი ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯებ ტაიპ ერდოღანმა მმართველი მართლმსაჯულებისა და განვითარების პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა, შეისწავლონ აია სოფიას მეჩეთად გადაქცევის შესაძლებლობა.



აღსანიშნავია, რომ აია სოფია მუზეუმის სტატუსს 1934 წლიდან ატარებს.

# ასი წლის კუ ველურ ბუნებაში დააბრუნეს

**100 წლის გალაპაგოსის გიგანტური კუ დიეგო, რომელმაც თავისი სახეობა გადაშენებას გადაარჩინა, ველურ ბუნებაში დაბრუნდა. დიეგო და კიდევ 14 მამრი კუ კუნძულ ესპანიოლაზე დააბრუნეს, სადაც ისინი თავისუფლად იცხოვრებენ.**



დიეგო ერთ-ერთი იყო იმ 14 მამრ კუს შორის, რომლებიც სპეციალისტებმა 1960-იან წლებში გალაპაგოსის კუნძულზე გამრავლების პროგრამისთვის შეარჩიეს. 50 წლის წინათ კუნძულ ესპანიოლაზე მხოლოდ 2 მამრი და 12 მდედრი გიგანტური კუ ბინადრობდა. პოპულაციის აღსადგენად დიეგო გალაპაგოსის კუნძულებზე აშშ-დან, სან დიეგოს ზოოპარკიდან ჩაიყვანეს. პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა, მის ფარგლებში 2 000-ზე მეტი გიგანტური კუ დაიბადა. დიდი წვლილი ამაში დიეგოს მიუძღვის. არსებული მონაცემებით, 100 წლის კუ 800 პატარას მამა გახდა.

# ძაღლის გადასარჩენად ალიგატორს შეებრძოლა...

**აშშ-ში, ფლორიდის შტატში, ყოფილ სამხედროს და მის ძაღლს ალიგატორი დაესხა თავს.**

სერჟანტი ტრენტ ტვიდდეილი თავისი 6 წლის ძაღლ ლოკისთან ერთად დილით საკუთარი ფერმის ტერიტორიაზე სეირნობდა, როცა წყალსაცავიდან თითქმის 5-მეტრიანი ალიგატორი ამოძვრა. მტაცებელი ძაღლს თათში სწვდა და მის წყალში ჩათრევას შეეცადა.

ტვიდდეილი არ დაიბნა და ძაღლის საყელურით გამოთრევას შეეცადა, მაგრამ ალიგატორი არ ნებდებოდა. ამის შემდეგ კაცი წყალში შევიდა და ალიგატორს ცემა დაუწყო, სანამ მან ნადავლზე უარი არ თქვა. ტვიდდეილი ამ ამბავს უვნებელი გადაურჩა, ლოკის კი წინა თათი სერიოზულად დაუზიანდა. პატრონმა ძაღლი ვეტერინართან მიიყვანა, სადაც მას რთული ოპერაცია ჩაუტარეს.




საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!


**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 3.0643; ევრო - 3.4669;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8727;
100 რუბლი - 4.4021; თურქული ლირა - 0.4480;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8025;
1000 სომხური დრამი - 6.3525.

**ამინდი 18 ივნისისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +16, | დღე | +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე | +31 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე | +32 |
| თბილისი: | ღამე | +18, | დღე | +31 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge